სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 1 (4505) ● 28 იანვარი ● 2015 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

გილოცავთ ნინოობას!

„ვუერთდებით ევროპას!“

გასულ, 2014 წლის დასასრულს მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში წარმატებით განხორციელებული საერთაშორისო პროექტი „ვუერთდებით ევროპას!“. იგი, ფაქტიურად, წარმოადგენდა ევროკავშირის მათემატიკურ კონკურსებში საქართველოს მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მნიშვნელოვან პროგრამას.

კონკურსი ჩატარდა საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით (პრეზიდენტი – **ლალი ბერძენიშვილი**), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით.

2014 წლის 24 ოქტომბრიდან 29 დეკემბრამდე მიმდინარეობდა პილოტირება პროექტისა – „ვუერთდებით ევროპას!“, რომელიც დამუშავდა ევროკავშირის შესაბამისი პროექტის Le-MQTH-ის საფუძველზე.

1-ელ ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს ისტორიაში პირველი საგანმანათლებლო ინტერნეტ-ხიდი „საქართველო-ევროპა“. ინტერნეტ-ხიდის მოდერატორი იყო ევროკავშირის კოორდინატორი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მათემატიკური საზოგადოების პრეზინდენტი, ბატონი **გრეგორ მაკრიდესი**.

საქართველოს მხრიდან ინტერნეტ-ხიდში მონაწილებდნენ მათემატიკის საუკეთესო მასწავლებლები საქართველოს 49 რაიონიდან.

„ბალავარის“ მიერ ორგანიზებული პროექტი

euro Math 2015

25 - 30 March 2015, Athens, Greece

წარმატებით დასრულდა. მასში მონაწილება მიიღო საქართველოს 55 რაიონის 570 სკოლამ და 5000-ზე მეტმა მოსწავლემ, მასწავლებელმა და მშობელმა.

პროექტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა რეგიონების საგანმანათლებლო რესურს ცენტრების, საქართველოს სკოლების დირექტორთა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან (რაც პროექტის შეფასებებში აისახა). აქტიურობის, თვით მოსწავლეთა, განსაკუთრებით უშუალო მონაწილეთა დიდი ინტერესის ფონზე ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თავისი წარმატებული საქმიანობის რიგში უნდა ჩააყენოს მის მიერვე მხარდაჭერილი და დაფინანსებული ხსენებული პროექტი და ხელი შეუწყოს მის გაგრძელებას.

მოკლედ, საქართველოში ჩატარებული პროექტის „ვუერთდებით ევროპას!“ შედეგების შესახებ:

კონკურსში MATHEATRE გაიმარჯვეს და გავიდნენ

I ადგილზე: ქ. გორის მე-12 საჯარო სკოლის, ქ. თბილისის ნიუტონის თავისუფალი სკოლისა და ადიგენის სოფ. არალის საჯარო სკოლის გუნდები;

II ადგილზე: ოზურგეთის მე-2, მესტიის რაიონის სოფ, ფარის საჯარო და ქ. თბილისის კერძო სკოლა „კანდიდის“ გუნდები;

III ადგილზე: ქ. თბილისის – 144-ე, 52-ე და დაბა სურამის მე-3 საჯარო სკოლების გუნდები.

სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით გაიმარჯვეს:

საუკეთესო არტისტიზმისათვის გოგონათა შორის – **სოფიო მესხმა** (თბილისის ნიუტონის თავისუფალი სკოლა), ვაჟთა შორის – **სერგი გეწაძემ** (ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა); საუკეთესო მხატვრული გადაწყვეტისათვის სოფ. ფარის საჯარო სკოლამ (მესტია); საუკეთესო ანსამბლური წარმოდგენისათვის – თბილისის 144-ე საჯარო სკოლამ; საუკეთესო არტისტული წარმოდგენისათვის – დაბა სურამის მე-3 და სოფ. ორბელის საჯარო სკოლების გუნდებმა; მათემატიკის პრაქტიკული გამოყენებისათვის ჭიათურის მე-2 და ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლების გუნდებმა; გეომეტრიის ორიგინალურად წარმოდგენისათვის – დაბა სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიისა და ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის გუნდებმა; საუკეთესო სცენარისათვის (მოსწავლე) **ავთანდილ გაფრინდაშვილმა**, საჩხერის რაიონის სოფ. სარეკის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ.

MATHFOCTOR-ში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ და მოიპოვეს:

I ადგილი: **ანა მიქაძემ** (ფოთის 1-ელი საჯარო სკოლა), **მარიამ მარგველაშვილმა** (თერჯოლის რაიონის სოფ. ნაგარევის საჯარო სკოლა);

II ადგილზე გავიდნენ მოსწავლეები: **გიორგი თევდორაძე** (ნიუტონის თავისუფალი სკოლა), **ლიკა კილაძე** (ბათუმის I საჯარო სკოლა), **ანასტასია ხარაზი** (ფოთის I საჯარო სკოლა), **თეკლა კვირიკაძე** (ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა);

III ადგილი მოიპოვეს: **ანა მდივანმა** (ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლა), **ანა ადეიშვილმა** (აბასთუმნის საჯარო სკოლა).

ნომინაციაში მათემატიკის ორიგინალური ხედვისათვის – **ანასტასია ხარაზმა** (ფოთის საჯარო სკოლა).

საერთაშორისო კონკურსში MATHPOSTER-ში

I ადგილი მოიპოვეს: **ანა ბერიანიძემ** (თბილისის კერძო სკოლა „პრომეთეს“ მოსწავლე), **ნუცა მეტრეველმა** (რუსთავის 26-ე საჯარო სკოლა);

II ადგილზე გავიდნენ: მარიამ ცქიფურიშვილი (თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა), **ქეთევან მსხილაძე** (თბილისის 166-ე საჯარო სკოლა), **რიტა მანაგაძე** (თბილისის 173-ე საჯარო სკოლა), **ვიოლეტა სიმონიანი** (თბილისის 98-ე საჯარო სკოლა), **ნიკოლოზ ხორბალაძე** (თბილისის 26-ე საჯარო სკოლა), **დავით ჯინჭარაძე** (ბათუმის გიმნაზია – „XXI საუკუნე“).

III ადგილი მოიპოვეს: **ნესტან ბოგვერაძემ** (თერჯოლის რაიონის სოფ. გოდაგონის საჯარო სკოლა), **ანა აბზიანიძემ**, **ანა ფოჩხუამ** (თბილისის 49-ე საჯარო სკოლა), **ელენე ბასილაშვილმა** (სოფ. კაზრეთის მე-2 საჯარო სკოლა), **ანა ყაფლანიშვილმა** (ბოლნისის რაიონის სოფ. კაზრეთის მე-2 საჯარო სკოლა), **ანი ჯავახიშვილმა** (თელავის მე-8 საჯარო სკოლა), **მარიამ კოზლოვამ** (ფოთის მე-4 საჯარო სკოლა).

ნომინაციაში მათემატიკის ორიგინალური ხედვისათვის გაიმარჯვა **მარიამ ცქიფურიშვილმა** (თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა).

საერთაშორისო კონკურსში **MATHPRESENTATION-ში**

I ადგილი არავის მინიჭებია.

II ადგილი მოიპოვეს: სალომე მარგველაშვილმა (გორის მე-12 საჯარო სკოლა), **ამირან სალღიანმა** (წალკის მე-2 საჯარო სკოლა), **იმედა ზოიძემ**, **ნინო მიქელაძემ** (ხელვაჩაურის საჯარო სკოლა);

III ადგილზე გავიდნენ: მარიამ ღურწკაია (ზუგდიდის რაიონის რუხის საჯარო სკოლა), **ნათია ქობულაძე** (ოზურგეთის I საჯარო სკოლა), **მარი ქათამაძე** და **მარიამ გოცირიძე** (ტყიბულის I საჯარო სკოლა). **ბექა სულაქველიძე** (სამტრედიის მე-12 საჯარო სკოლა), **ნინო შამანაძე**, **გიორგი ყიფშიძე** და **ხათუნა ზამბახიძე** (საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა), **ანა ადეიშვილი** (აბასთუმნის საჯარო სკოლა), **ლუკა ღვინიაშვილი** (საგარეჯოს რაიონის პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა).

გამარჯვებულები წახალისდებიან, ხოლო I ადგილებზე გასულ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის კონკურსი ფინალურ ეტაპზე, რომელიც გაიმართება 2015 წლის 25-30 მარტს, ქალაქ ათენში.

რომან მოსეშვილი,
კონკურსის „ვუერთდებით ევროპას“ კოორდინატორი, რესპუბლიკური ტურის ჟიურის წევრი

რევაზ მიშველაძე – 75

კლასიკოსი და სახალხო

იუბილარი ასეთ უმაღლეს შეფასებას უთუოდ და ღირსეულად იმსახურებს. „ხალხი მენდობა ყველაზე უფრო, თუ მოეწონე, ძეგლსაც აგიგებსო“, – უთქვამს პოეტს. მას ხალხი ენდო. ხალხს მოეწონა მისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედება და სახალხო მწერალი უწოდა. იმიტომ უწოდა, რომ იგი ჭეშმარიტად არის ხალხის წინამძღოლი, ერის წყლული აჩნია წყლულად.

მრავალმხრივი მოღვაწეა ჩვენი იუბილარი, ჩინებული მეცნიერი, პედაგოგი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, „ენა ტკბილად მოუბარი“, „წვეთი სისხლისა არ არის მასში არაქართული“.

კლასიკოსი? შენ, მავანო, ქილიკი რომ აგრე გემარჯვება, აბა, დადე შენი ნამოღვაწარი 25 ტომი, 500 მაღალმხატვრული მსოფლიო დონის ნოველა და შენც დაგიძახებენ კლასიკოს მწერალს, ქართული ნოველის დიდოსტატს.

მხატვრული სიტყვის მეუფის სხვა რეგალიებს აქ ვერ ჩამოვთვლით.

დიახ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, სიტყვის რაინდს **რევაზ მიშველაძეს** საიუბილეო დღეები უდგას.

მისი ნიჭის უამრავი თაყვანისმცემელი შეიკრიბა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ამ ყველაზე დიდი სამკითხველოს ოვალურ დარბაზში მისთვის პატივისცემის მისაგებად.

სიმბოლური ის გახლდათ, რომ სცენის სიღრმიდან იუბილარს შუქსახიერად, თითქოს ლოცავდაო, დასცქეროდა ქართველების დიდი ჭირისუფლის, „შუბლმაღალი ოლიმპიელის“ შარავანდედით მოსილი სახე.

საიუბილეო საღამო მიჰყავდა პოეტ **გულნაზ ხარაიშვილს**. იუბილარს გულმხურვალედ მიესალმნენ: აკადემია „ფაზისის“ პრეზიდენტი **ნუგზარ ნადარაია**, ასევე, გელათის აკადემიიდან, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიიდან, სუვენირი გადასცა იყალთოს აკადემიის პრეზიდენტმა **ზაზა შათირიშვილმა**, მიესალმნენ მოსწავლეები, და-ძმა **ნანა** და **ნიკა დურგლიშვილები** (ფანდურსალამურით), გამოჩენილი მწერალი და კრიტიკოსი **სოსო სიგუა**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოდან – **გია გვაზავა**, პოეტი **მაყვალა გონაშვილი**, მოსწავლე **ია კარტოზია** (ცეკვით), პოეტ-აკადემიკოსი **ვაჟა ეგრისელი**, მომღერალი და მოცეკვავე **ენრიკო ჯინჯიხაშვილი**, კომპოზიტორი **ვაჟა აზარაშვილი**, ცნობილი ჟურნალისტი **გვანჯი მანია**, მეცნიერი **გია კვაშილავა**, ქუთაისიდან – **თამაზ იმედაძე**, სპორტული ჟურნალისტი **დემიკო ლოლაძე**, იუბილარის მეგობარი პოეტები და მწერლები.

მთელი საღამო გაჯერებული იყო ეროვნული სულისკვეთებით, სუფთა ქართული, პატრიოტულ-ჰეროიკული სიმღერებით, ცეკვებით.

დასასრულს, სამადლობელ სიტყვაში იუბილარმა საკუთარ თავს, ასევე, მის კოლეგებს და მთელ ქართველ ერს ილიას გზით სიარულისკენ მოუწოდა.

P.S. **გაზეთი „სახალხო განათლება+“ გულმხურვალედ ულოცავს ჩვენი გაზეთის ქომაგს, გამოჩენილ მწერალ რევაზ მიშველაძეს სახელოვან იუბილეს, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს.**

და კიდევ რას უსურვებს იცით? გრიგოლ ხანძთელის ასაკობრივ თამასას იოლად გადავლებოდეს.

სასწავლო წლის I სემესტრის შედეგები

შევიხედოთ კერძო სკოლა შპს „ლილეში“

მუხიანის დასახლება ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი კოლორიტული მიკრორაიონია. აქ მომავალი თაობის აღზრდას რამდენიმე საჯარო და ასევე რამდენიმე კერძო სკოლა ახორციელებს. მოწინავეთა შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ შპს „ლილე“. იგი თავისი არსებობის 18 წელს ითვლის, რომელიც 173-ე ბაგა-ბაღის ბაზაზე დაიფუძნა განათლების სისტემის ღვაწლმოსილმა ქალბატონმა **თამარ ნათენაძემ**. ამ ენერგიულმა, მოუსვენარმა, ენთუზიაზმით აღსავსე ქალბატონმა, მთელი თავისი ოჯახის მობილიზებითა და შესაძლებლობით ოთხი წელი აშენა სკოლისათვის ახალი, თანამედროვე შენობა. ათვალიერებ ამ ახალი ტიპის გაწკრიალებულ შენობას და გასაგები ხდება პედაგოგების გულწრფელი სიხარული და დირექციისადმი კეთილგანწყობის ასე გამოხატვა: „ქალბატონი თამარი ისეთი აქტიური ადამიანია, რომელიც არც თვითონ დაზოგავს თავს და არც კოლექტივს მისცემს მოდუნების საშუალებას. იგი კარგი მენეჯერია და კოლექტივის შეკვრა, სიმშვიდის დამყარება შეუძლია, სიახლისკენ ისწრაფვის და დანერგვის უნარიც შესწევს, ძალიან შრომისმოყვარეა, ამ სკოლის ცხოვრებით ცხოვრობს, კომუნიკაბელური და ყველაზე მზრუნველია“.

სკოლის დირექტორია ქალბატონი თამარის ახალგაზრდა რძალი, მასავით ენერგიული და შრომისმოყვარე **თამარ ჭუმბურიძე**. იგი თითოეული მშობლის, თითოეული მოსწავლის დიდი მეგობარი და მათზე მზრუნველია. ერთი ნამითაც ვერ მოიხელთებთ, სულ მოძრაობაში და საქმეშია ჩართული.

თამარ ჭუმბურიძე: ახალი შენობის აგებას დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ აქ შემოსვლამ ენერგია და ხალისი კიდევ უფრო შეგვმატა. თავიდან გადავხედეთ სკოლის მისიას. შევუსაბამეთ იგი „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა“ და „ეროვნულ სასწავლო გეგმას“. სკოლის „წესდების“ შესაბამისად, განისაზღვრა სკოლის სტრუქტურა: დაწყებითი სწავლების საფეხური მოიცავს I-VI, საბაზო საფეხური – VII-IX, საშუალო საფეხური – X-XI-XII კლასებს. განახლდა მისიით განსაზღვრული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები. გაფორმდა „ხელშეკრულებები“ მასწავლებლებთან. შეიქმნა სკოლის მართვის ორგანოები. განახლდა სკოლის „შინაგანაწესი“. სასწავლო პროცესი განუხრელად და ხარისხიანად მიმდინარეობს. ახალი შენობა აღიჭურვა თანამედროვე დგამ-ავეჯით. ყოველივე ამან, ვფიქრობთ, განა-

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

პირველი გვერდიდან

პირობა მშობელთა და მოსწავლეთა შორის სკოლის ავტორიტეტი.

...ახალ შენობაში ხალისითა და ახალი ძალების მობილიზებით დაიწყო ახალი – 2014-2015 სასწავლო წელი. პედაგოგთა კორპუსს რამდენიმე ახალი გამოცდილი მუშაკი შეემატა. ახალგაზრდა დირექტორს მხარს უმშვენებენ გამოცდილი და ენერგიული მოადგილეები: **ეკატერინე ფეიქრიშვილი** და **მერი აფხაზავა**, რომლებიც თავისებურ მადლიან ეშხს მატებენ სკოლის პედაგოგიურ საქმიანობას: მასწავლებლები დროულად გაეცვნენ „ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ ახალი სასწავლო წლისათვის შეტანილ ცვლილებებს, რის საფუძველზეც განისაზღვრა თითოეული საფეხურის ძირითადი ამოცანა და დაიგეგმა სასწავლო პროცესი. საგნების საათობრივი განაწილების საფუძველზე შედგა I სემესტრის საგაკვეთილო ცხრილი. დადგინდა სასწავლო დღის, გაკვეთილებისა და სემესტრის ხანგრძლივობა. შეიქმნა 6 საგნობრივი კათედრა. თითოეული კათედრის პირველივე სხდომაზე მასწავლებელთა მიერ შეირჩა (ზოგი გაგრძელდა) შესაბამისი საგნისა და კლასის სახელმძღვანელოები. განიხილეს საგნობრივი სასწავლო გეგმები (სილაბუსები), რომელთაც დართული აქვთ სწავლების მეთოდები და ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები. გეგმების თანდართულ აღწერაში ასახულია, რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ითვალისწინებს მოცემული საგანი.

განვლილი I სემესტრის განმავლობაში სკოლა თავის საქმიანობით ცდილობდა მოსწავლეთათვის შეექმნა პირობები საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი თვისებებისა და მიდრეკილებების გამოსავლინებლად და გასავითარებლად. ასევე ზოგადი განათლების „ეროვნული მიზნების“ დოკუმენტში აღწერილი საგანმანათლებლო იდეალების მიღწევისა და დახვეწის პირობები.

პირობების შექმნა, პირველ რიგში, გულისხმობს ეფექტური სწავლების მეთოდების დანერგვას, რადგან მასწავლებლის მიერ გამოყენებული სხვადასხვა მეთოდი დიდ ზეგავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. სწავლება ნიშნავს არა ერთი კონკრეტული გზის გავლას, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიებას. მასწავლებელთა მუშაობის ეფექტურობის ზრდაზე მიმართული ღონისძიებები არის ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.

ამ განწყობითა და საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებით სხვადასხვა საგნის 14 ღია გაკვეთილი ჩატარდა. ყველა ერთმანეთზე საინტერესო, აქტივობებით მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ჩართულობით დატვირთული იყო. სანიმუშოდ ერთ-ერთს წარმოვადგენთ:

ნოემბრის ბოლოს VII კლასში ფიზიკაში მასწავლებელმა **ინგა ბურდულმა** ჩაატარა ღია გაკვეთილი, რომელსაც პედაგოგებთან ერთად მოსწავლეთა მშობლებიც ესწრებოდნენ. საგაკვეთილო თემა იყო „ატმოსფერული წნევა“. მასწავლებელმა ისე დაგეგმა და მოამზადა გაკვეთილი, რომ მოსწავლეთა აქტიურობა გაეძლიერებინა და ისინიც ჩაერთო ახალი გაკვეთილის ახსნაში. ჩატარებული ცდებისა და თვალსაჩინო მასალების გამოყენებით დაერწმუნებინა ისინი ფიზიკის ცოდნის აუცილებლობაში. მასწავლებელი იყო მშვიდი, მოტივირებული და მოსწავლეების მიმართ კეთილგანწყობილი. მას თითოეული წინადადება განსაზღვრული და გამიზნული ჰქონდა სწორად. მოხდენილად გამოიყენა სასწავლო კაბინეტში არსებული ყველა ნივთი მოსწავლეთა დასარწმუნებლად. მოსწავლეს გააზომვინა, რა ძალით აწვებოდა აკვარიუმში წყალი თევზს, რაც სწორად გამოითვალა და დაიწერა დაფაზე შესაბამისი ფორმულით. ისაუბრეს, რატომ არ იჭყლიტება ადამიანი წნევისგან. დააკვირდნენ – ორ არათანაბარ ჭურჭელში იყო თუ არა, თანაბარი წნევა; გამოიყენეს ზიარჭურჭელის კანონი. დააკვირდნენ და ახსნეს, რატომ დაიკავა წყალმა და ზეთმა ერთი და იგივე სიმაღლე (ე. ი. ზეთი არ ვარგა, წყალი ურევია). მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახეს ცდების შედეგები. ისაუბრეს ტორიჩელის ცდის შესახებ და ა. შ. მოსწავლეები კარგად აყვნენ მასწავლებელს, კარგი იყო მათი ჩართულობა გაკვეთილის პროცესში, რამაც განაპირობა გაკვეთილის მიზნის ადვილად მიღწევა, განვილილი მასალების საჭიროების მიხედვით გამოყენება. გაკვეთილი იყო აქტივობებით დატვირთული, მრავალფეროვანი და დიდი სიამოვნების მომნიჭებელი, რაც აღინიშნა კიდეც გაკვეთილზე დამსწრე პედაგოგებისა და მშობლების მიერ.

სასწავლო წლის I სემესტრის შედეგები

შევიხედოთ კერძო სკოლა შპს „ლილეში“

სკოლა „ლილეს“ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის დიდი ტვირთი კლასების დამრიგებლებს აწევთ, რომლებიც დიდი მონდომებითა და პროფესიული ოსტატობით უზრუნველყოფენ კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციასა და შინაარსის პედაგოგიურ მიმართულებას. მათი წარმატებულობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობენ თითოეულ მოსწავლეს, მათ ოჯახს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს, უნარებსა და ინტერესებს. „სადამრიგებლო პროგრამები“, რომლებიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების „ეროვნულ მიზნებთან“ და „ეროვნულ სასწავლო გეგმასთან“ უადვილებთ მათ აღმზრდელობითი მიმართულებით საჭიროებათა ხედვას, უჩვენებთ, რისთვის არიან დღეს მზად, სად აქვთ აღმზრდელობითი მიმართულებით პრობლემები და როგორ დაგეგმონ ღონისძიებები ამ პრობლემათა მოსაგვარებლად. გამოიკვლიონ წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზები.

სკოლის საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებელთა შეთანხმებულ, კარგად დაგეგმილ ურთიერთთანამშრომლობას. ამის საფუძველზე სკოლის სემესტრული ცხოვრება გაჯერებული იყო კლასგარეშე და სკოლისგარეშე საინტერესო ღონისძიებებით.

მიმდინარე სასწავლო წლის ოქტომბერში V^1 და V^2 კლასებში ისტორიის მასწავლებლისა და კლასის დამრიგებლის ერთიანი ძალისხმევით მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პროექტში „საბავშვო არქეოლოგია“. მოსწავლეებმა მცხეთაში, სამთავროს ველზე გაშლილ არქეოლოგიურ გათხრებში პრაქტიკული სამუშაოები შეასრულეს. პროგრამა 120 წუთი მიმდინარეობდა: I ეტაპი მოიცავდა სამთავროს ნამოსახლარისა და სამაროვნის დათვალიერებას; II – საუბრისა და ინსტრუქციის მოსმენას არქეოლოგიისა და არქეოლოგიური სამუშაოების პრაქტიკული შესრულების შესახებ; III – ბავშვების აღჭურვას გათხრებისათვის საჭირო იარაღით; IV – გათხრების შესრულებას; V – აღმოჩენათა ანალიზს (ჯგუფის წევრთა ასაკის გათვალისწინებით); VI – კერამიკული ნაწარმის რესტავრაციას; VII – მოსწავლეებისათვის „ნორჩი არქეოლოგის“ სერთიფიკატებისა და სამახსოვრო ტრიპლეტის გადაცემას.

ამ პროექტის განხორციელებით მოსწავლეებმა გარკვეულ ცოდნასთან ერთად დიდი სიამოვნება და მომავალში საქმიანობის გამეორების მოტივაციაც მიიღეს.

...27 ოქტომბერს იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 174 წელი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით VI კლასელებმა ერთი თვით ადრე დაიწყეს მზადება. მათ დიდი ინტერესით შეისწავლეს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების გზა და მისი თავდადებული მოღვაწეობა ქართული სკოლისათვის ქართული სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

...V^1 და V^2 კლასელები ეწვივნენ ქართველი მხატვრის, მოქანდაკის, აკადემიკოს ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს. დიდი ინტერესით დაათვალიერეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღდგენილი საგამოფენო დარბაზი და აქ განთავსებული მხატვრული ტილოები და ქანდაკებები, მხატვრის გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები;

...დაწყებითი საფეხურის კლასებმა საბავშვო თეატრში „მეორე სახლი“ ნახეს სპექტაკლი „პატარა ანას თავგადასავალი“;

...VI-VII-VIII კლასები ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის სტუმრები იყვნენ და ნახეს სპექტაკლი „სიცოცხლის ხე“.

...IX-X-XI კლასელებმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ნახეს რობერტ სტურუას მიერ დადგმული ვაჟა-ფშაველას „სტუმარმასპინძელი“, რომელმაც კიდევ უფრო გაუძლიერათ ინტერესი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი.

...8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების დღისათვის VI კლასელებმა ადრევე შეისწავლეს ილიას რჩეული ლექსები და მისი დაბადების 177-ე წლის აღსანიშნავად მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში „ილიაობა“ და „იაკობობა“ პარალელურად გამართეს. ყვავილებით შეამკეს ამ დიდი მამულიშვილებისა და სხვათა საფლავები, მოწინებით აუნთეს სანთლები.

...XI-XII კლასების მოსწავლეებმა სასწავლო ექსკურსია მოაწყეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. სხვა ექსპონატებთან ერთად დიდი ინტერესით დაათვალიერეს ოკუპაციის ოთახი.

მუზეუმში ყოფნა მიზნად ისახავდა მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას:

- მოახერხონ პოლიტიკური ისტორიის საკითხთა კვლევა;
- შეძლონ XIX-XX საუკუნეების საქართველოს მმართველობით სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების ანალიზი;
- განსაზღვრონ მსოფლიო ისტორიის პროცესებში საქართველოს ადგილი და როლი;
- ჯგუფური მუშაობის დროს ერთმანეთს შეადარონ სახელმწიფოს მოწყობის განსხვავებული სისტემები და შეაფასონ თითოეული მათგანის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.

აღნიშნული საკითხების შესრულება დიდი ინტერესითა და ხალისით მოახერხეს.

IX კლასში ისტორია-გეოგრაფიის ინტეგრირებული ღია გაკვეთილის მოსამზადებლად მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად დეკემბერში იმყოფებოდნენ საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დაათვალიერეს და შეისწავლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის (იმერეთი, სვანეთი, კახეთი, მესხეთი) სამოსახლო გარემო, სახლების აგებულება და მოწყობილობა, შეადარეს ერთმანეთს და გააარკვიეს მათ შორის განსხვავებულობა. იქაური ბუნებრივი რესურსები დაუკავშირეს რეგიონის საქმიანობას. დაჯგუფეს ამ კუთხეების ხალხური თქმულებები, წეს-ჩვეულებანი, ლექსები, სიმღერები, ცეკვები, საყოფაცხოვრებო წესები და დამახასიათებელი კერძები.

მუზეუმში ნანახი, შესწავლილი, შემდეგ თავიანთ მიერ დამზადებული ნივთები, კერძები, სასმელები, სიმღერები, ცეკვები წარმოადგინეს ინტეგრირებულ ღია გაკვეთილზე პრეზენტაციების ფორმით, რამაც გაკვეთილზე დამსწრე პედაგოგთა და მშობელთა დიდი მოწონება და მოსწავლეთა ქება-წახალისება გამოიწვია.

...საბაზო და საშუალო კლასების მოსწავლეებმა ქიმიის, ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო სასწავლო პროგრამებზე აგებული ინტელექტუალური თამაში „ვინ, სად, როდის“ მოაწყვეს და გუნდური შეჯიბრი გამართეს. სპეციალურმა ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციათა გამოყენებით გამოავლინა გამარჯვებულები და ფასიანი საჩუქრები გადასცა. I ადგილზე გასულ გუნდს „ბროლის“ ბუც გადაეცა. ამ ღონისძიებამ სხვა მოსწავლეების (არამონაწილეთა) დიდი ინტერესი გამოიწვია.

...დეკემბრის ბოლოს სკოლის ყველა კლასის აქტიური მონაწილეობით დიდი „საახალწლო ზეიმი“ გაიმართა, სადაც სკოლის მოცეკვავეთა ჯგუფმა „წლის ანგარიში“ წარმოადგინა და გაამრავალფეროვნა და გაამშვენიერა საახალწლო ზეიმი. ასევე აქტიურები იყვნენ XI კლასელი მომღერლები და განსაკუთერებით დაწყებითი კლასების მოსწავლეები, რომლებმაც ერთმანეთზე უკეთესად წარმოადგინეს ზღაპართა ინსცენირებანი და ბავშვური საოცარი ფანტაზიებით გაალამაზეს ეს მხიარული ზეიმი.

...შპს „ლილეს“ მოსწავლეთა და პედაგოგთა კოლექტივები სასწავლო წლის II ნახევარში კიდევ უფრო საინტერესო შინაარსიან საქმიანობას გეგმავენ.

ეკა ფეიქრიშვილი,
შპს „ლილეს“ დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი“ დირექტორებთან პოლემიკიდან

„მეჯღანუაშვილის“ სინდრომი

შარშან საჯარო სკოლები ახალი დირექტორებით დაკომპლექტდა. რა ხედვა-პროექტებით მოვიდნენ, როგორ აპირებენ ისინი განათლების სამინისტროს ახალი ინიციატივების რეალიზებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გააქტიურებას, სწავლების ხარისხის ასამაღლებლად პედაგოგთა უკეთ დარაზმვას? ამ კითხვებით ერთ „მშვენიერ“ (სუსხიან) დღეს თბილისის 173-ე საჯარო სკოლას მივადექი.

ახალმოსულ დირექტორს, **ლია თუშურს** პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი: იყო ჩინებული პრაქტიკოსი პედაგოგი, ქართულის ალტერნატიული სასკოლო სახელმძღვანელის თანაავტორი, პატრიოტული საქმის მოთავე – მარნეულში სკოლის დირექტორად წავიდა, რომ იქ არაქართველებისთვის ვაჟას ენა ესწავლებინა. ჰოდა, უკეთეს რესპოდენტს ვის ვინატრებდი?

კაბინეტში ორი მოადგილე ჰყავდა. გავაცანი მოსვლის მიზანი. პასუხისთვის თითქოს წინასწარ იყოო მომზადებული, დაუფიქრებლად მომიგო: **ჩვენ სკოლაში გაზეთებს არ ვყიდითო(!!!)**.

ისე უადგილო აღმოჩნდა ეს პასუხი, როგორც მეჯღანუაშვილის ტაში ოპერის მსვლელობისას. შეცბუნება რომ შემატყო, მოადგილეებს გადახედა და უფრო ჩემს გასაგონად ხაზი გაუსვა: **ამ საკითხზე დღეს ან ხვალ გენინსპექცია შემოდისო!!!**

ეს უკვე მეორე „ტაში“ იყო.

ნუთუ გენინსპექცია იმ მიზნით შემოდის და დირექტორისთვის თითის დააქნევას აპირებს, სკოლამ და პედაგოგებმა პედაგოგიური გაზეთი რატომ შეიძინეთ ან გამოიწერეთო? – დავეჭვდი.

დირექტორმა უჯრიდან სასწავლო-მეთოდიკური მასალა (რეკომენდაციები, ბროშურა, თვალსაჩინოება...) გამოიღო: **ამას პედაგოგებს უფასოდ ვურიგებთო**.

ამით მიმანიშნა: მასწავლებლისთვის ეს მასალებია მთავარი და არა შენი გაზეთიო. „უფასოდ ვურიგებთო“, – ისეთი ტონით თქვა, თითქოს, თუ სკოლა, პედაგოგი, პედაგოგის გაზეთს მთელი წლით 16 ლარად გამოიწერდა, ეს თანხა მათ ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვებოდა.

შევატყვე, დირექტორი რაღაც „კონიუნქტურის“ ჩარჩოში იყო მოქცეული. კარგად ვიცოდი ცირკის, თეატრის ბილეთების, „ჩაწოლილი“ ჟურნალების, ზღაპრების საბავშვო წიგნების სკოლაში შეტანა და მოსწავლეებზე „გასაღება“ არ შეიძლებოდა (თუმცა ამისთვისაც სკოლის ფოიეში სპეციალურად ჯიხურები დგას). პედაგოგის გაზეთიც ასეთ „არასაჭიროთა“ სიაში თუ მოხვდებოდა, ნამდვილად არ მეგონა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი: ზუსტად ასე ფიქრობს 136-ე სკოლის დირექტორი **ელზა ბადაშვილიც**. იგი პედაგოგის გაზეთს გამოუსადეგარ, „გასასაღებელ“ ნივთად მიიჩნევს. თუმცა იყო დრო, თავის გამოჩენას როცა ცდილობდა, რედაქციას თხოვდა, დიდ ღონისძიებას ვატარებ და მის გასაშუქებლად ჟურნალისტი გამოგვიგზავნეთო.

ისევ **ლია თუშურს** დავუბრუნდეთ.

– მასწავლებელმა, სკოლამ, ბიბლიოთეკამ პედაგოგის გაზეთი რომ გამოიწეროს, საჭირო არ არის? – ვეკითხები დირექტორს.

– ვერ ვეტყვი, ვერ მოვთხოვ.

– ნუ უბრძანებთ, ურჩიეთ მაინცმეთქი.

დავუშვათ, რომ მოეთხოვა, ვითომ ამით ცოდვას ჩაიდენდა? პირიქით, დირექტორმა კიდევაც უნდა დაავალოს თავის მასწავლებელს, პედაგოგიურ-მეთოდიკური არსენალი გაიმდიდრეო.

აი, ასეთი ვაჭრულ-მერკანტილური კინკლაობით დამთავრდა ჩვენი „ვიზიტი“.

გზაში პოპულარული ლექს-სიმღერა ამეკვიატა: „რისთვის ვუკრავდი ფანდურსა, რისთვის დავხარჯე ძალაო, ეგეთი ენის პატრონსა, რა გაგათხოვებს, ქალაო?“ და ჩემს თავზე მწარედ გამეცინა.

უტაქტობა თუ სხვა რამე?

ამ საჩოთირო საკითხს არ მინდოდა, შევხებოდი. ეს დირექტორების დონეზე სასაუბრო თემა არ არის, თუმცა?..

39-ე საჯარო სკოლაში დარაჯის, მანდატურისა და კანცელარიის ბარიერები წარმატებით გადავლახე. საქმეთა მმართველმა დირექტორს ჩემი ვინაობა და მოსვლის მიზანი აუწყა.

– დამელოდოსო!

კაბინეტიდან სიცილნარევი საუბარი ისმოდა. დასასრული არ უჩანდა მათ აზრთა „აღებ-მიცემობას“. ვიფიქრე, რატომ მალოდინებენ ამდენს-მეთქი? იქნებ ოპოზიციური გაზეთის ჟურნალისტი ვგონივართ და მსჯელობენ: შევხვდეთ – თუ – არა, მივიღოთ თუ – არა. სიფრთხილეს ხომ თავი არა ტკივა?

ამ დროს სწრაფად გაიღო კარი და გამოიჭრა ტანმორჩილი ქალბატონი, არწივივით დამზვერა და დერეფანში გავარდა. ნუ დავძრახავთ, იქნებ „იქ“ ეჩქარებოდა. კარგა ხნის შემდეგ რომ დაბრუნდა, არც შემომხედა. – გელოდებიანო, – ზღურბლზე ხმა დააწიეს.

– რა საკითხზე ხარ მოსული? – ამაზე კაბინეტში ვისაუბროთ, ქალბატონო. – დრო არა მაქვს, გავრბივარ.

– სახელი მაინც ვიცოდე თქვენი!

– ამას კანცელარიაში გეტყვიანო და გამშორდა. მხოლოდ იმ წუთებში გავიგე, რომ ახალი დირექტორი **ლილია გევონჯიანი** იყო. რა საგნის სპეციალისტია დირექტორი, დღესაც არ ვიცი.

ამაზე უკეთესი „აუდიენცია“ მომიწყო 155-ე სკოლის დირექტორმა **ხათუნა ხულორდავამ**. მის კანცელარიაში ისტერიული ფონი დამხვდა – დირექტორი თანამშრომლებს „უცაცხანებდა“. უცხო პირი რომ დამინახა, კაბინეტში შეირბინა. – ისააო, – თვალით მანიშნეს. შევყევი, მოსვლის მიზანი გავაცანი.

– ვიცი, ვიცი, ვინცა ხარ. არ მიყვარს საკუთარი თავის რეკლამაო! – დაკრა ფეხი და გავარდა. შუა ოთახში სახტად არ დამტოვა მამისტოლა კაცი?

დედაია, რა იყო ეს?!

„საკუთარი თავის რეკლამა არ მიყვარსო?“ ნუ ფიქრობთ, დირექტორებო, თქვენთვის ხოტბის შესასმელად მოვდიოდე. სკოლის წარმატებათა გაშუქება გვსურს, პედაგოგის მძიმე შრომის დანახვა-დაფასება, ქომაგობა, საზოგადოებისგან „დაბალ ღობედ“ მიჩნეული მასწავლებლების გამხნევება გვინდა. თუ ღირსი იქნება, არც დირექტორებზე გამოგველევა საქებარი სიტყვები.

ვერ გამიგია, რა დავუშავე ლილიას და ხათუნას? უბრალოდ მაინტერესებს: უნებურ უტაქტობასთან გვაქვს საქმე, თუ სხვა რამესთან? არა მგონია, სტუმართმოყვარეობით და თავაზიანობით განთქმულმა მეგრელებმა ხათუნა ხულორდავას ეს საქციელი მოუწონონ. არც ლილიას ქცევით აღფრთოვანდებიან მისი კოლეგები.

„თქვენს გაზეთს ვინმე კითხულობს?“

მეორე ცდის შემდეგ 143-ე სკოლის ახალმოსულ დირექტორთან, **თამარ ჭარბაძესთან** საინტერვიუოდ დაჯდომა მოვახერხე. შეკითხვები რომ მოისმინა, სახეზე ირონიული ღიმილი აუთამაშდა, – **თქვენს გაზეთს ვინმე კითხულობს?** – ჯიქურ შემეკითხა.

ცხადია, თავი დამცირებულად ვიგრძენი. აბა, თავად მისთვის მეკითხა: **„სჭირდება ვინმეს თქვენი დირექტორობა?“** ან **„ვარგა რამედ თქვენი ჩატარებული გაკვეთილები-მეთქი?“** – როგორ გუნებაზე დადგებოდა? ჭარბაძეს იქნებ „დეტექტივები“ ურჩევნია, მაგრამ პედაგოგი ვალდებულია თავის პროფესიულ გაზეთს კითხულობდეს.

ნირწამხდარმა საუბარი ინერციით განვაგრძე:

– არ გნებავთ მასწავლებლების გაზეთთან თანამშრომლობა? თქვენი სკოლის მიღწევებს, სიახლეთა დანერგვის შედეგებს განვაზოგადებთ-მეთქი.

– აგერ მობრძანდით, რა გაჩვენოთ? აი, შესანიშნავი „ვებ-გვერდი“ მოვამზადეთ. ყველა სიახლე და საინტერესო ღონისძიება იქაა შეტანილიო.

ეს იყო მინიშნება, ვის სჭირდება თქვენი გაზეთიო.

– „ვებ-გვერდი“, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ სასწავლო პროცესში მას თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს, პედაგოგიურ გაზეთს კი – თავისი ორივე კი ერთ საქმეს ემსახურება-მეთქი.

ქალბატონი თამარი თავისას არ იშლიდა, ფეისბუქის ყოვლისშემძლეობას მიმტკიცებდა. ალბათ ეგონა, ბანოჯელი თუ შაშიანელი პედაგოგი მაშინვე თავს შეყოფდა ინტერნეტში, მოძებნიდა 143-ე სკოლის „ვებ-გვერდს“ და ამ მოწინავე გამოცდილებას სამუშაო პროგრამად გაიხდიდა.

აბა, ამის შემდეგ როგორ გავბედავდი იმის თქმას, პედაგოგების გაზეთი გამოიწერეთ ან შეიძინეთ-მეთქი.

სხვადასხვა

პედაგოგიური პრესის პედაგოგებში გავრცელებასთან დაკავშირებით „საინტერესო“ დიალოგი მქონდა 120-ე სკოლის დირექტორ **მარინე წერეთელთან**:

– რამდენი ეგზემპლარის გამოწერას აპირებთ სკოლა, პედაგოგები?

– ჩამოვყალიბდებით.

– როგორც დირექტორი, თავად გამოიწერთ?

– ჩამოვყალიბდები.

– კარგი სასკოლო ბიბლიოთეკა გაქვთ?

– შესანიშნავი, სახელმძღვანელოებითა და სხვა ლიტერატურით მდიდარი.

– ერთ ეგზემპლარს ბიბლიოთეკა ხომ მაინც გამოიწერს?

– ჩამოვყალიბდებით.

– ერთი ცალის გამოწერას რაღა ჩამოყალიბება უნდა ქალბატონო მარინე?

– ჩამოვყალიბდებით.

ახლა ერთ საქმიან დიალოგს გავეცინოთ. 181-ე სკოლის დირექტორმა **მზია გიორგობიანმა** მკითხა: რა განსხვავება-მსგავსებაა **„სახალხო განათლება+-სსა“** და **„ახალ განათლებას“** შორის? რომელი მათგანი გამოვიწეროთ?

ქალბატონ მზიას მაშინვე გავეცი ამაზე პასუხი, მაგრამ მინდა სხვა დირექტორებმაც იცოდნენ:

დღეს საგანმანათლებლო სივრცეში ორი კინკილა პედაგოგიური პროფილის გაზეთი გამოდის (კერძო პირებისა და ვიწრო უწყებების გამოცემებზე არა მაქვს საუბარი), რომელიც სრულებით ვერ აუდის განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებისა გამოწვევების ასახვა-გაშუქებას.

„სახალხო განათლება+“ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეებზე დაფუძნებული, 85 წლის განახლებული გაზეთი გახლავთ, ხოლო მისი განაყოფი – „ახალი განათლება“ 15 წლისაა. „ახალი განათლება“ შედარებით უფრო დოკუმენტაციურ-ნორმატიულ მასალებს (კონცეფციები, პროექტები, საერთაშორისო ურთიერთობები, მართვის თემაზე გადაწყვეტილება-ინსტრუქციები, ეროვნული გამოცდების ცენტრის მასალები და სხვ.) აქვეყნებს, „სახალხო განათლება+“ კი მეტწილად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, სწავლების მეთოდიკის, შედეგებზე ორიენტირებული სწავლების, ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვის ცოცხალ დინამიკაში გაშუქებას ცდილობს. ასე რომ, ერთი მეორის ალტერნატივა არ არის. ორივე გაზეთი ერთმანეთს ავსებს, ამდიდრებს და განათლების სისტემის განვითარება-აღმავლობის უზენაეს საქმეს ერთად ემსახურება. ამდენად, სკოლამ (საჯარომ, კერძომ, სპეციალურმა თუ უმაღლესმა) პედაგოგებმა, მეცნიერებმა ორივე უნდა გამოიწერონ.

დიდი კითხვის ნიშანი

დაკვირვებული მკითხველი იკითხავს: განათლებისა და პრესის მუშაკებს შორის რა შავ კატას გაურბენიაო? ჩემთვისაც და ძალიან ბევრისთვისაც „საწუხარ არს ესე“.

მუდამ ერთად ვიყავით, სიამტკბილობით საერთო საქმეს ვემსახურებოდით, განათლების სამინისტროს ყოველთვის მხარში ვედექით, რეფორმის გატარებაში ვშველოდით.

დღეს განათლების სამინისტროს კეთილი საქმეების დანახვას არცერთი გაზეთ-ტელევიზია არ ცდილობს (ჩვენი და ტელევიზია „ერთსულოვნების“ გარდა). პირიქით, სხვა მედიასაშუალებები პოზიტიურსაც კი ნეგატიურად წარმოაჩენენ. ამის საილუსტრაციოდ ამას წინათ „ტელეიმედში“ განათლების მინისტრის სტუმრობაც გამოდგება. ჩვენ კი... (წაიკითხეთ გასული წლის 1 ოქტომბრის ნომერში წერილები: **„სარედაქციო განაცხადი“** და **„უმადურებო!“**). სად და როდის დაიწყო ეს გაუცხოება?

საიდან მოდის ასეთი აგდებული და ხისტი დამოკიდებულება ზოგიერთი სკოლის დირექტორისა საკუთარი გაზეთის მიმართ? პედაგოგისა და დირექტორის ავტორიტეტი ჩვენ არასოდეს შეგვილახავს. შეიძლება მტერ-მოყვარეს ვერ არჩევდე? შეიძლება საკუთარ მარჯვენას ებრძოდე და აბუჩად იგდებდე? სად არის ჩასაფრებული „კონიუნქტურა?“ (ვიცი, სადაც მარხია „ძაღლის თავი“. საჭირო დროს ვიტყვი).

ამ კითხვებზე **გამოხმაურებას, სჯაბაასს სკოლის დირექტორებისა და საზოგადოების მხრიდან ველოდებით**.

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

ჩემს თავს ეხოლოდ პედაგოგად ვხედავ...

ხმა რუსთავიდან

ზარის დარეკვამდე: შინაგან მღელვარებას და შემოქმედებით ენერგიას საკლასო ჟურნალის ხელში აღებისთანავე გრძნობს. ზუსტად იცის, სად, რისთვის და რატომ მიდის, მორიგი გაკვეთილი მე-10 კლასში 32 მოსწავლესთან უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს, მითუმეტეს მაშინ, როცა საგაკვეთილო თემად ილიას პატრიოტული პოეზიაა. გაკვეთილზე: წამიერი მობილიზება კლასში შესვლის წინ და მასწავლებელი **ლელა ახალაია** მოსწავლეთა სულიერების მოძღვარი ხდება. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებით, მოზარდთა ინდივიდუალიზმის წვდომით, ინტელექტუალური აზროვნების სიღრმეებით, მოსწავლეებთან კეთილგანწყობილი პარტნიორული ურთიერთობებით, მაღალესთეტიური მუხტით, თავშეკავებული ექსპრესიით და სათქმელის იმგვარად თქმის ხელოვნებით, რომ ყველას ყველაფერი ესმოდეს – იგი ჭეშმარიტი თეატრალივით ატარებს გაკვეთილს ნაცნობი თემით, რომელიც არაფრით ჰგავს დღემდე ჩატარებულ არცერთ გაკვეთილს. საგაკვეთილო პროცესის განუმეორებლობა და არდავიწყების ხიბლი – ესაა მოსწავლეებისათვის ზოგადად ცოდნის მიღებისა და კონკრეტულად – ერთ რომელიმე საკითხზე დაფიქრების, მსჯელობის, დასკვნის გაკეთების საბაბი. მშობლიური ლიტერატურის სწავლება თეორიულად და პრაქტიკული ღირებულებებით, მშობლიური ენის სწავლება - გრამატიკული კატეგორიებით და ასევე ყოველდღიური თუ საშვილიშვილო მიზნებით – ესაა სერიოზული ამოცანა მასწავლებლისათვის ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ და ამ მიზნის წარმატებით გადაჭრისათვის მარტო ერთხელ მიღებული ცოდნა რომ არ კმარა, თვითონაც გამუდმებით იმიტომ ფიქრობს, მსჯელობს,კამათობს საკუთარ თავთან, იღებს გადაწყვეტილებებს და მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილზე თანამონაწილე ხდება აღმოჩენების – ლიტერატურული სამყაროს და მშობლიური ენის საგანძურის არნახული საოცრებებისა და სილამაზის.

ზარის დარეკვის შემდეგ: კიდევ ერთმა 45-მა წუთმა გამოსცადა პედაგოგი განათლებით, ცოდნით, სიყვარულით, ურთიერთობებით ... კიდევ ერთხელ აინთო საკუთარ სულში სანთელი სხვათა სულებშიც იმ სანთლის ასანთებად, დედულ-მამულს რომ შეაცნობინებს და მტერმოყვარეს გაარჩევინებს სახვალიოდ მომავალ თაობებს. არაფერია იმაზე მშვენიერი და ერთდროულად საპასუხისმგებლო პედაგოგისათვის, ვიდრე საკუთარი თავის გამოცდა მოსწავლეებთან, – იტყვის ჩვენთან საუბარში რუსთავის 23-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ლელა ახალაია**.

ბიოგრაფია მოკლედ: ლელა ახალაია აფხაზეთიდანაა. სოხუმში დაამთავრა სკოლა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ორივე წარჩინებით. სამწუხაროდ, ისტორიამ, როგორც ბევრ სხვა ქართველს, მისი ოჯახის წევრებსაც, ლტოლვილები დაარქვა სახელად და ბუდემოშლილნი რუსთავს ასტუმრა. დედა - **ლია ბაკურიანელი**, პროფესიით, ფილოლოგია. მამა, **მურმან ახალაია**, იურისტი.

ლელა ახალაიამ და **ბადრი კვარაცხელიამ** თავიანთ მშვენიერ ოჯახში ორი განათლებული ქალიშვილი აღზარდეს. **თამარი**, ინგლისური ენის სპეციალისტია, მთარგმნელი, სერთიფიცირებული მასწავლებელი. ამჟამად დოქტორანტია, ლექციებს კითხულობს ღია სასწავლო უნივერსიტეტში, ასოცირებული პროფესორია. **ნინო** ექიმია, თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ინტელექტუალური და დახვეწილი პიროვნება. **ლელა ახალაია** სამი შვილიშვილის ბებიაა. მისი ოცნებაა, დადგეს ის დრო, რომ შვილიშვილებთან ერთად ესტუმროს მშობლიურ აფხაზეთს და მათაც შეაგრძნობინოს ზღვის სანაპიროზე ნესტითა და მარილით გაჟღენთილი ქვების სურნელი, დღემდე რომ ენატრება.

...ბავშვობიდანვე, პედაგოგობაზე მეოცნებემ, პირველი გაკვეთილი სოხუმის სკოლის მე-11 კლასში ჩაატარა თემით – **გრიგოლ ორბელიანი** – მას შემდეგ აღარაფერი შეცვლილა, თავისი პროფესიული და შემოქმედებითი გზები მშობლიურ ენა-ლიტერატურას, მეცნიერულ კვლევას და განათლებას დაუკავშირა, ბევრჯერ ჰქონდა არჩევანი კარიერული წინსვლისათვის, სხვა ქვეყანაში მიზნობრივი წასვლისათვის... მაგრამ ყველგან და ყოველთვის საკუთარ თავს მხოლოდ პედაგოგად ხედავდა. რუსთავში ჩამოსვლისთანავე მუშაობა 23-ე საჯარო სკოლაში დაიწყო. ერთდროულად გამოცდები ასპირანტურაში ჩააბარა და დაიცვა დისერტაციაც – ,,ქალის ხატება კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში". დღემდე მკვლევარი და მეცნიერი ქალბატონი ყოველწლიურად 2-3 სამეცნიერო შრომას აქვეყნებს ქართულ სამეცნიერო პერიოდიკაში- პედაგოგიკის, ევროპულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების, ცალკეული ავტორების შესახებ.

იგი ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში, წლების განმავლობაში თანამშრომლობს ერთიანი გამოცდების ცენტრთან,

უკითხავს ლექციებს მასწავლებლებს, იგი ერთადერთი მასწავლებელია საქართველოში, რომელსაც ერთდროულად 6 სერთიფიკატი აქვს მიღებული სხვადასხვა საგნის მაღალ დონეზე ფლობისა და სწავლებისათვის.

არის შესაშური შინაგანი ენერგიის პატრონი, დინამიური და კომუნიკაბელური ადამიანი, უყვარს და ამაყობს იმ პედაგოგიური კოლექტივით, ვის გვერდითაც 20 წელი გაატარა, როგორც რიგითმა პედაგოგმა, ახლა კი, საკმაოდ რთული და დრამატული სადირექტორო არჩევნების შემდეგ, ამავე პედაგოგიური კოლექტივის ხელმძღვანელია.

ლელა ახალაია: ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ძალიან თბილი და მაღალზნეობრივია. აქ საუკეთესო ადამიანები მუშაობენ, ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მათთან ერთად მოვდივარ, მათგან ვსწავლობ და ის პატივიც მხვდა წილად,რომ სამეურვეო საბჭომ ერთსულოვნად ამირჩია დირექტორად. ყველაფერს ვიღონებ რომ,მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს – ყველას ერთად სწავლისა და სწავლებისათვის საუკეთესო პირობები შევუქმნა და ყველამ ერთად 23-ე სკოლა ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ვაქციოთ.

პრინციპულობა, გაბედულება და სიმართლე – ეს თვისებები მიაჩნია **ლელა ახალაიას**, დღეს ყველაზე მეტად რომ სჭირდება სკოლის დირექტორს, როგორც მენეჯერსა და კოლექტივის ლიდერს. ისიც, თუკი პრობლემა გადაჭრას მოითხოვს, ოპერატიულად აგვარებს სხვადასხვა ინსტანციების ჩართვით.

ღრმა, საინტერესო პიროვნული მოსაზრებები აქვს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობებზე, საკუთარი გამოცდილებიდან მიაჩნია, რომ პედაგოგი ყველაზე ონავარ და გამოუსწორებელ მოსწავლეშიც, პირველ რიგში, ადამიანსა და ადამიანური სიკეთის გამოვლინებებს უნდა ხედავდეს, რომ, რეალურად მართლა არ არსებობს ცუდი აღსაზრდელი, უბრალოდ, არსებობს, ცუდი გარემო, ცუდი აღმზრდელი და ცუდი აღზრდა. პრობლემა კარგმა მასწავლებელმა ნებისმიერ ვარიანტში აღსაზრდელის სასარგებლოდ უნდა გადაჭრას, მოტივაციაც, მოსწავლის სკოლიდან სკოლაში გადასვლისა, არამცდაარამც სასკოლო გარემო ან მასწავლებელი არ უნდა იყოს.

სკოლა ცოცხალი ორგანიზმია ათასგვარი საზრუნავით და მიზნით, დირექტორსაც, გამოცდილი დირიჟორივით, არცერთი ყალბი ბგერა, არცერთი უზუსტო ქმედება მხედველობიდან არ უნდა რჩებოდეს, მას, აღზრდისა და სწავლების კლასიკური სამკუთხედის-ოჯახი, სკოლა, საზოგადოება – ყველა სიბრტყე მუდმივ სამეთვალყურეო სამიზნედ უნდა ჰქონდეს ქცეული მცირე ხარვეზებსაც რომ არ ჰქონდეს ადგილი სკოლაში.

ლელა ახალაიას სადირექტორო დღე 9-ის ნახევარზე იწყება. გაკვეთილებსაც ატარებს და ათასი საზრუნავით შედის სასკოლო შენობაში, სადაც მისი მისვლის დღიდან ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა .

ლელა ახალაია: სკოლა არის არა ჩემი ან ვინმესი, არამედ ჩვენი,სადაც ყველა ჩვენგანის პროფესიული შესაძლებლობები იცდება, დირექტორობაც, ჩემთვის კარიერული თვითკმაყოფილების ადგილი კი არა, შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოცდის ასპარეზია, მე მართლა მაინტერესებს გავუძღვე მას ისე, რომ თანამედროვე სასკოლო საზოგადოებაში, სრული თავისუფლებისა და დემოკრატიული მმართველობის გარემოში თავისუფლად გრძნობდეს თავს პედაგოგიც, მოსწავლეც და მშობელიც, ყველას ჰქონდეს აზრის გამოთქმისა და სიტყვის თავისუფლება, შეეძლოთ კრიტიკაც, თუკი ეს საჭიროა, იყვნენ პირუთვნელნი და მართალნი, რადგან არ არსებობს იმაზე დიდი ღირებულება ადამიანისათვის, ვიდრე პიროვნული თავისუფლებაა. ჩვენს ათასჭირ გამოვლილ ქვეყანას ახლა ყველაზე მეტად თავისუფლად მოაზროვნე, მიზანმიმართული თაობები სჭირდება.

ჩვენს სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები, შეხვედრები, ღია საჩვენებელი გაკვეთილები, ბიბლიოთეკაში ჩატარებული საღამოები, გასვლითი ღონისძიებები და სხვა კონკრეტული სასწავლო თემის გაშლის გარდა, მიზნად ისახავს მოსწავლის პოტენციური, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების, ინტელექტუალიზმის გამოვლენას, რათა რიგითი მოქალაქისაგან ღირსეული პიროვნება აღიზარდოს. ჩვენს ქვეყანას დღეს ჭეშმარიტ სამოქალაქო, ევროპულ ღირებულებებზე აღზრდილი თაობები სჭირდება, ოღონდ ერთი უმთავრესი ნიშნით – ეროვნული ცნობიერებით აღბეჭდილნი. ნებისმიერი ერი ეროვნული ღირებულებების გარეშე, დასაღუპადაა განწირული. ქართული სკოლის მთავარი მიზანდასახულებაც თაობათა ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდაა, რაშიც გადამწყვეტი როლი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას ენიჭება. ჩემს ყოველდღიურ ღვაწლსაც სწორედ პედაგოგობაში ვხედავ. მე ჯერ რიგითი მასწავლებელი ვარ და შემდეგ, დირექტორი. დღევანდელმა სკოლამ ერთიც და მეორეც ღირსეულ ქართველობაში უნდა გამოსცადოს. ამ ამოცანას ჩემი განვლილი ბიოგრაფია, ჩემი მშობლების შვილობა, ჩემი სამშობლოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის გააზრება, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ბედის გათავისება მიყენებს, ვეცდები, ჩემი წილი ყველაფერი გავაკეთო ამ ცხოვრებისეული გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად.

* * *

ასეთია მოკლედ რუსთავის 23 -ე საჯარო სკოლის დირექტორის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ასოცირებული პროფესორის, წიგნითა და წიგნიერებაზე აღზრდილი ქალბატონის ლელა ახალაიას პორტრეტული და ბიოგრაფიული შტრიხები.

დიახაც, მხოლოდ შტრიხები,რადგან ჩვენ არაფერი გვითქვამს და ვერც საგაზეთო პუბლიკაცია დაიტევდა მასზე სათქმელს,როგორც ნიჭიერ პოეტზე, პროზაიკოსზე, ჟურნალისტზე, მხატვარზე... იგი კერავს, აცობს, ქარგავს, უკრავს მუსიკას, არის მეოცნებე და ენაწყლიანი. და რაც მთავარია - მისი ბედნიერი არსებობისათვის გადამწყვეტი პირობაა ის, რომ საყვარელ მასწავლებელსა და დირექტორს ღიმილით ხვდებიან ყოველ დილით გ ზადშემხვედრნი.

ლია მარტაშვილი,
რუსთავი

პავლე მურადაშვილი (მარცხნიდან პირველი)

პავლე მურადაშვილი – 75

ჩვენს დიდ ისტორიულ ეზოში, რომელიც ზემელზე, რუსთაველის ძეგლის მიმდებარეა, ბევრ დიდ კაცს უცხოვრია და უმოღვაწია — პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტებში, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების", გაზეთ „სახალხო განათლების", „დილის", „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციებში, გამომცემლობა „დია"-ში, პედაგოგთა კავშირში, სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. აი, აქ რომ გამორჩეულ და პოპულარულ კაცად იქცე, მართლა განსაკუთრებული პიროვნება უნდა იყო. სწორედ ასეთი კაცია პავლე მურადაშვილი, რომელიც აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, ამ ეზოში მოღვაწეობს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეგიდით.

პავლეს იცნობენ ყველანი – დიდებიც და პატარებიც, ადგილობრივებიც და მიმსვლელ-მომსვლელნიც. იცნობენ და უყვართ, რადგან მას თვითონაც უყვარს ყველა, ის ბოშა ბავშვებიც კი, რომლებსაც უსაქციელობის გამო ხანდახან დაუტატანებს ხოლმე. მარტო ადამიანებს კი არა, ფრინველებსაც უყვართ (ცხოველებისთვის ჯერ არ შემიმჩნევია ეს გრძნობა). არ დაიჯერებთ და, ყვავები მთელი წლის განმავლობაში კაკალს უზიდავენ საჩუქრად (უყვარს და იმიტომ!). ვისაც არ სჯერა, ვურჩევ წაიკითხოს **ნარო კოლხელის მოთხრობა „ძია პავლეს კაკლები"**.

ახალხან ჩვენს ძმას და მეგობარს პავლეს 75 წელი შეუსრულდა. ვუსურვებთ მას ერთი ამდენი წელი კვალავაც ისე გაევლოს, როგორც აქამდე იარა, თავის დიდებულ და დიდ ოჯახთან ერთად.

გულწრფელი სიყვარულითა და
პატივისცემით: **ოთხი ზურაბი**,
ერთი ჯემალი და **ერთი პეტრე**.

ერთი დღე "დასტაქარში"

ჩვენი ინტერვიუ

ამასწინათ *სამედიცინო კლინიკა „იუნონში“ ოჯახის ექიმს, ქალბატონ* ***სოფო ჩხეიძეს*** *ვესტუმრეთ. კმაყოფილი დავრჩით მისი ყურადღებით. კვალიფიციურ, პროფესიონალ ექიმს უამრავი ჰყავს მადლიერი პაციენტი. ჩემი ვიზიტის პერიოდში ქალბატონ* ***სოფო ჩხეიძეს*** *მოუწია კვალიფიციური სატელეფონო რჩევა-კონსულტაციების „გაღებაც“, რომელთაც არასოდეს იშურებს მათთვის, ვისაც ყველაფერთან ერთად მისი, როგორც ექიმის სითბოც სჭირდება.*

საუბრისას აღმოჩნდა: ***სოფო ჩხეიძეს*** *დამთავრებული აქვს სამედიცინო ინსტიტუტი „დასტაქარი“. ექიმისადმი მადლიერებამ მიგვიყვანა მის აღმზრდელ სასწავლებელში „დასტაქარში“, რომელიც აკადემიკოს ირაკლი ფაღავას სახელს ატარებს და ამავდროულად, არის მისი ხელმძღვანელიც.*

და აი, ერთ დღეს ვესტუმრეთ შპს „ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემიის“ (დირექტორი – აკადემიკოსი ირაკლი ფაღავა) ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერს ქალბატონ ***ლალი ბიჩინაშვილს.***

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

– ქალბატონო ლალი, იქნებ მოკლედ გაგვაცნოთ თქვენი სასწავლო დაწესებულების ისტორია.

– 1992 წლის აგვისტოში დაარსდა საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი „დასტაქარი“, რომელიც წლების განმავლობაში ამზადებდა

ფართო პროფილის ექიმებს. მის საქმიანობას წარმატებით უძღვებოდა ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი **ირაკლი ფაღავა** ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად.

სასწავლო საქმიანობის გაფართოების მიზნით 2009 წლის თებერვალში გაიხსნა საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტი „დასტაქარი“, რომელიც უკვე ამზადებდა როგორც ექიმებს, ასევე ფარმაცევტებს. 2009 წლის აპრილიდან აკადემიკოს **ირაკლი ფაღავას** ხელმძღვანელობით ფუნქციონირება დაიწყო ,მრავალპროფილიანმა სახელობო სასწავლებელმა „დასტაქარი“ ფართო პროფილის მედდებისა და კბილის ტექნიკოსების მომზადების მიზნით.

თანამედროვე გამოწვევების, შრომის ბაზრის და განათლების ევროპული დონის მოთხოვნილებების და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადების მიზნით, სახელობო სასწავლებლის ბაზაზე აღმოცენდა პროფესიული კოლეჯი „დასტაქარი“ უკვე ახალი სპეციალობებით, ახალი სტანდარტების შესაბამისი პროგრამებითა და ახალი მიზნებით, ასევე, წარმატებული დირექტორის აკადემიკოს ირაკლი ფაღავასა და მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით. ამ სასწავლებელმა 2014 წლის აგვისტოში დიდი წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და დღეს ფუნქციონირებს, როგორც შპს ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია „დასტაქარი“ – საზოგადოებრივი კოლეჯი.

– რა სპეციალობის კადრები მზადდება „დასტაქარში“?

– დღეს აკადემია ამზადებს კბილის ტექნიკოსის III, ექთნის თანაშემწის – III, ფარმაცევტის თანაშემწის – V და ფარმაცევტული წარმოების სპეციალისტის III საფეხურების პროფესიულ კადრებს.

– რა საქმიანობას ეწევა სასწავლებელი ცოდნის ხარისხის ამაღლების მიზნით?

– ამ მიზნით შემუშავებულია ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა, მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება. სისტემატურად მოწმდება: სასწავლო პერსონალი, სასწავლო გარემო, პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლით. სწავლების ხარისხის სრულყოფისათვის აკადემია იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების რეგულარულ გამოკითხვაში. ასევე ხორციელდება სემინარებზე, საწარმოო პრაქტიკაზე, გამოცდებზე პერიოდული დასწრება, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და ჩატარებული კვლევების შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება, ასევე მუდმივი ზრუნვა მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარებისათვის. სასწავლებელში მაღალი ხარისხის სწავლის გარანტი არის გამართული აუდიტორიები აღჭურვილობით, კომპიუტერული კლასი და ბიბლიოთეკა.

– რას გვეტყვით თქვენი სასწავლებლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კადრების შესახებ?

– აკადემიაში მაღალი დონის სწავლებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში თავისი წვლილი შეაქვს ადმინისტრაციას, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი, საკუთარი საქმის მცოდნე, პროფესიონალებით. კერძოდ, კოლეჯის დირექტორი, აკადემიკოსი – **ირაკლი ფაღავა**, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მენეჯერი – **ლარისა ფაღავა**, ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერი – **ლალი ბიჩინაშვილი**, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი – **ლალი მუშკუდიანი**, ბიბლიოთეკის მენეჯერი – **ნარგიზა ნადირაძე**, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი – **სვეტლანა პოღოსოვა**, ფინანსური მენეჯერი – **მაია ლოლაძე**, პრაქტიკის კოორდინაციისა და დასაქმების მენეჯერი – **მარინა ლელაშვილი**, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლები – **ნათია ხუხუნაიშვილი** და **გიორგი ბასილაძე**, პირველადი სამედიცინო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები.

აკადემიას ჰყავს გამოცდილი, მცოდნე, თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი პროფესიონალი მასწავლებლები: მ. თავბერიძე, ქ. კიკნაძე, დ. ცხადაძე, მ. დევროსაშვილი, ნ. ხუხუნაიშვილი, რ. მჟავანაძე, ნ. კობაიძე, მ. ცაგურია, დ. მაღრაძე, მ. წიკლაური, ნ. შუბითიძე, ლ. ბიჩინაშვილი, ლ. კინწურაშვილი, ი. ტავლალაშვილი, მ. გულდედავა, მ. ლელაშვილი, ლ. ნადირაძე, ლ. აბადოვსკაია, მ. სინჯიკაშვილი, მ. გრძელიშვილი.

– როგორია „დასტაქარის“ ურთიერთობები დამსაქმებელ ორგანიზაციებთან?

– სნავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე, რისთვისაც აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტიულობის მიზნით აკადემია თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

აკადემიასთან თანამშრომლობენ პარტნიორი ორგანიზაციები: შპს კარდიოლოგიური კლინიკა „გული“, შპს „ამტელ ჰოსპიტალის პირველი კლინიკა“, ს/ს „ბიოფარმი“, შპს აფთიაქი №34, თსუ იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, შპს ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი, ს/ს თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, შპს „კერამიკო“, შპს „ნეოდენტი“.

– იქნებ ჩამოგვითვალოთ წარჩინებული სტუდენტები...

– აკადემიის სტუდენტები ყოველთვის გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობითა და არჩეული პროფესიისადმი დიდი ინტერესით. როგორც ყველა სასწავლებელში, ჩვენც გვყავს გამორჩეული ზრდილობით, ცოდნის დონით, ღონისძიებებში აქტიური ჩართულობითა და პრაქტიკული უნარჩვევებით აღჭურვილი პროფესიული სტუდენტები: **ლ. ხალათიანი**, **თ. ებანოიძე**, **დ. მდივნიშვილი**, **თ. დუიშვილი**, **ნ. სარალიძე**, **ე. მოსიაშვილი**, **მ. კვიტაშვილი**, **დ. ჩაგელიშვილი**, **მ. ვირსალაძე**, **გ. მამფორია**, **რ. ჯარჯიშოვა**, **ნ. ზამკოვაია**, **მ. ტულუში**.

ასევე **დაგისახელებთ წარმატებულ, პროფესიაში დასაქმებულ სტუდენტებს**. შპს „ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია დასტაქარის“ კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში. ასე მაგალითად, **მარეხ ჩანგაშვილი** მუშაობს თელავის სამშობიარო სახლში; მედდა **ნანა ქალდანი** – რუსთავის კლინიკური საავადმყოფოს საოპერაციო განყოფილებაში; ექთანი **ნინო ფოლადაშვილი** – სამშობიარო სახლში „იმედი“; მედდა **თამარ ხულელიძე** – საბავშვო ბაღში „ალადინი“; მედდა **ეკა რამაზაშვილი** – შპს „დასტაქარი 21 საუკუნეში“; მასაჟისტი **გიორგი წიკლაური** – სტომატოლოგიურ კლინიკაში „მამუკა“; კბილის ტექნიკოსი **ნინო ქიქოძე** – ოზურგეთის რაიონის, სოფელ ბახვის სამედიცინო ცენტრში; მასაჟისტი **ნინო მკალავიშვილი** – ომის ვეტერანთა ჰოსტიტალში; ექთნის თანაშემწე **თამარ ხუბულავა** – ციცი ტატიშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკური საავადმყოფოს ნეონატოლოგის განყოფილებაში; ექთნის თანაშემწე **ხატია შეყელაშვილი** – თსუ სტომატოლოგიურ კლინიკაში; ექთანი **ნინო ნოდაძე** – სტომატოლოგიურ კლინიკა „ნეოდენტში“; ექთნის თანაშემწე **თეა ზაალიშვილი** – შპს „ამტელ ჰოსპიტალის პირველ კლინიკაში“; ექთანი – **სია მაკარიანი** – კლინიკაში „ლანცეტი“; ექთნის თანაშემწე **ანა უმეკაშვილი** – შპს „კერამიკოში“; ექთნის თანაშემწე **მეგი ლუტიძე** – კლინიკაში „ლანცეტი“; ექთნის თანაშემწე **ნიკო წილოსანი** – სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრში „რაიტმედი“; მასაჟისტი **თამარ ლომაშვილი** – სამკურნალო კომბინატთან არსებული ესთეტიკის ცენტრში; მასაჟისტი **სალომე დოლიძე** – კერძო სტომატოლოგიურ კლინიკაში, კბილის ტექნიკოსად.

– რა პრობლემები აქვს სადღეისოდ „დასტაქარს“?

– რა დაგიმალოთ და, პროფესიული განათლების არსი და მნიშვნელობა მოსახლეობას არ აქვს გათავისებული. არადა პროფესიული კადრების ნაკლებობაა ქვეყანაში. უმაღლესი განათლების მიღება კარგია, მაგრამ პროფესიული განათლება, რაც უზრუნველყოფს პროფესიული კადრების მომზადებას, არის წამყვანი და მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის. ამასთანავე, საქართველოში არ არის განათლების უწყვეტი სისტემა, თუმცა, განათლების სამინისტრო ბევრ სამუშაოს ასრულებს ამ მიმართულებით. ამასთანავე, კიდევ ერთ პრობლემას ქმნიან სახელმწიფო კოლეჯები, რადგან იქ უფასო სწავლებასთან დაკავშირებით მიედინება კონტინგენტი, ხშირად ყოველგვარი მიზნების გარეშე. სიძნელეებს ვაწყდებით დამსაქმებლების მხრიდანაც, რადგან ხშირად მათაც არ აქვთ გათავისებული იმ სპეციალობების არსი და მნიშვნელობა, რაც დღეს ასე მოთხოვნადია, თუნდაც, ევროპის ქვეყნებში.

– წარმატებებს გისურვებთ.

– გმადლობთ.

რომან მოსეშვილი

მომავალ „გენეთლიამდე“...

ამასწინათ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის **გორის გიმნაზიამ** საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეები მეორედ მიიწვია საშობაო ფესტივალ „გენეთლიაზე“, რომელიც თავისი არსებობის 9 წელს ითვლის და **ატენისა და გორის ეპარქიის მხარდაჭერით** უკვე ტრადიციულად, ერთობ წარმატებულად იმართება. ფესტივალისავე ფარგლებში ეწყობა მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია და, ასევე, მოზარდთა ნამუშევრების გამოფენა. ფესტივალის მიზანია მოზარდების მიერ ქრისტესშობის დღესასწაულის უკეთ აღქმა-გააზრება და საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლეთა დამეგობრება.

და აი, წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა და პედაგოგთა დელეგაცია დილაადრიან ხალისიანი განწყობით გაემართა ქალაქ გორისაკენ.

ფესტივალში თბილისისა და გორის 20-მდე სკოლის მოზარდები მონაწილეობდნენ. მათ გულთბილად შეხვდნენ მასპინძლები. წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ტაძარში მოგვესალმნენ და დაგვლოცეს ატენისა და გორის მიტროპოლიტმა **ანდრიამ (გვაზავამ)** და გიმნაზიის დირექტორმა, **მამა ბორისმა (ნიჩიპეროვიჩმა).**

კონფერენცია მიეძღვნა გალობის რაინდების – ან **უკვე წმიდანების, ძმები კარბელაშვილების** ღვაწლსა და დამსახურებას ერის წინაშე. თემაზე – „ნიჭი გალობისა“ საინტერესო მოხსენება წარმოადგინა წმინდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის XII კლასის მოსწავლემ **გიორგი ლაგურაშვილმა.**

კონფერენციის პარალელურად გაიმართა მოსწავლეთა კონკურსი, რომელიც რელიგიურ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლებს შეეხებოდა. მასში მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის მოსწავლემ **იაგო ნიკოლაძემ** (პედაგოგი – **გაიოზ ზანგალაძე**). კონკურსის მონაწილეებმა დიდი მონდომებით დახატეს ბეთანიის მონასტერი.

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაზე დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი სკოლა-პანსიონის პროფესიული მიმართულების მოსწავლეთა თვითშემოქმედებამ (პროფესიული განათლების მენეჯერი – **კახაბერ ვარდუკაძე**). კერძოდ, მნახველთა აღფრთოვანება წილად ხვდა მათ მიერ შესრულებულ თექის (პედაგოგი – **ანა მაისურაძე),** ხის მხატვრული დამუშავების (პედაგოგი – **გია ალუღიშვილი**), ტიხრული მინანქრის (პედაგოგი – **იოსებ ზანგალაძე),** ტანსაცმლის მოდელირების (პედაგოგი – **რუსუდან არჯევანიძე)** ნიმუშებს.

მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა დამსწრე საზოგადოება, ასევე, ჩვენი სკოლა-პანსიონის ხელოვნების (ხელმძღვანელი – **თამილა ფოლადიშვილი**) მიმართულების მოსწავლეთა თვითშემოქმედების ნიმუშებს

კონფერანსიებმა **გიორგი ლაგურაშვილმა** და **ლუკა ლომსაძემ** ფესტივალის მონაწილეებს მიულოცეს ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული და დამსწრეებს საინტერესოდ მოუთხრეს ჩვენი სკოლის ისტორია.

დარბაზი სულგანაბული უსმენდა ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „არსიანის“ (ხელმძღვანელი – **დავით შანიძე**), ასევე, ქართულ—ხალხურ საკრავთა ჯგუფის (ხელმძღვანელი – **მალხაზ ქოიავა**) მიერ გაჟღერებულ ტკბილ ქართულ მელოდიებს. მსმენელი მოიხიბლა ჩვენი მოსწავლეების მიერ „კარბელაანთ კილოზე“ შესრულებული გალობით (გალობის პედაგოგი – **მაია ნამორაძე**). დიდი ოვაცია დაიმსახურა ცეკვა „დაისმმა“ (ქორეოგრაფი – **ჯონი დუგლაძე**),

რომელიც მოსწავლეებმა **ანი ხარაზიშვილმა** და **გიორგი სამხარაძემ** შეასრულეს.

ხალისიანად მიიწურა ფესტივალის პირველი დღე, რომლის შემდეგ მისი მონაწილეები მასპინძელთა ოჯახებში მიიწვიეს. ამით კი კიდევ უფრო ახლო გაიცნეს და დაუმეგობრდნენ ერთმანეთს

თბილისელი და გორელი ყმაწვილები.

მეორე დღეს ფესტივალის მონაწილეებმა და სკოლა-პანსიონის პედაგოგებმა მოილოცეს გორის მარიამ ღვთისმშობლის სახელობის მიძინების ტაძარი.

დახურვის ცერემონიალზე მასპინძლებს ფესტივალზე მოწვევისა და მისი შესანიშნავი ორგანიზებისათვის მადლობა გადაუხადა ჩვენი სკოლა-პანსიონის დირექტორმა, დეკანოზმა **მირიან სამხარაძემ**.

მოზარდების ამ დიდ ზეიმზე ქრისტესშობის სიხარულს იზიარებდნენ: წმინდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ნანა (ციცინო) ანთაძე,** ზოგადი განათლების მენეჯერი **მაყვალა (მარიამ) ანთაძე,** კლასგარეშე მუშაობის კოორდინატორი **რუსუდან რევაზიშვილი,** დირექტორის თანაშემწე **იოსებ აფაქიძე.**

ვსარგებლობთ შემთხვევით და ჩვენი მასწავლებლების გაზეთის ფურცლებიდან კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას ატენისა და გორის მიტროპოლიტს, **მეუფე ანდრიას (გვაზავას),** მასპინძლებს – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიის დირექტორს, **მამა ბორის (ნიჩიპეროვიჩს)** და მთელ მის პედაგოგიურ კოლექტივს, ყველა მოსწავლის ოჯახს, რომლებმაც დიდი სიყვარულით უმასპინძლეს ჩვენს მოზარდებს.

ისე არაფერი ალამაზებს ქრისტესშობის დღესასწაულს, როგორც ეს ლოცვა: **„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“**...

მომავალ **„გენეთლიამდე“!**

ამინ!

დარინე (თამარ) დავითაძე,
წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის პრესსამსახურის წარმომადგენელი.

ზურაბ ხარაზიშვილის ფოტო

ძმობით ვართ ძლიერი

თბილისის 77-ე საჯარო სკოლაში

კათედრა – კეთილი კოორდინატორი

ყველა საგნობრივი კათედრის მიზნები სკოლაში განსაზღვრულია განათლების ეროვნული სასწავლო გეგმით. ამჯერად დაწყებითი სწავლების კათედრის საქმიანობას მოკლედ შევეხებით. სკოლის დირექტორი **ნანა ხიდეშელი** და მისი მოადგილეები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ საფეხურზე მუშაობის ეფექტიანად წარმართვას, ხელს გვიწყობენ აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალი შედეგების მიღწევაში.

გარდა სწავლების მეთოდიკის სრულყოფისა, სიახლეების დანერგვისა, პედაგოგთა დაოსტატებისა, კათედრა აქტიურად მონაწილეობს ოლიმპიადებში („ევერესტი“, „კინგსი“, „ინტელექტი“, „ელესი“), ესწრება გიორგი ლეონიძის თეატრის წარმოდგენებს. მოკლედ გაგაცნობთ ჩატარებულ ღონისძიებებს:

ფატი როსტომაშვილმა (I^1 კლასი) მათემატიკაში ჩაატარა გაცვლითი გაკვეთილი **თინათინ აბრამიშვილის** (I^6) კლასში, თემაზე – „გეომეტრიული ფიგურები“, ხოლო შემდეგ ღონისძიება – „ოქროსფერი შემოდგომა“.

ქეთევან ნახუცრიშვილმა (I^2 კლასი) ჩაატარა გაკვეთილი სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით – „შუქი წარსულისა“, პოეტური მოზაიკა; მხატვრული კითხვის კონკურსი „ლექსით გადმოცემული პოეტის განწყობილება“ და ლიტერატურული დილა „დედაენა – მზე და ლხენა“.

მარინე ციბაძემ (I^3 კლასი) მოაწყო ექსკურსია „მეტეხის უბანში“ და „საკრავების მუზეუმში“.

ქეთევან ესიტაშვიულმა (I^4 კლასი) მოაწყო ექსკურსია „ზოოპარკში“, ბავშვთა ქალაქ მზიურში თემაზე – „შემოდგომის ფერები“.

ია სიდამონიძეს (I^5 კლასი) ჰქონდა ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში, ნამუშევრების გამოფენა „შემოდგომის ფერები“.

თინათინ აბრამიშვილმა (I^6 კლასი) გაცვლითი გაკვეთილი მათემატიკაში I^1 კლასში, თემაზე – „გეომეტრიული ფიგურები“.

თინათინ ზაუტაშვილმა (II^1 კლასი) ჩაატარა ინტეგრირებული (ბუნება, ხელოვნება, ქართული), ღია გაკვეთილი თემაზე – „პატიოსანი ტყისმჭრელი“. კოლექტიური დასწრება გიორგი ლეონიძის სახელობის თეატრში, სპექტაკლზე „წითელქუდა“.

ლამზირა ცარელაშვილმა (II^2 კლასი) – კოლექტიური სვლა ზოოპარკში. დაესწრნენ სპექტაკლს.

მარი შიუკაშვილმა (II^3 კლასი) – გაცვლითი გაკვეთილი ქართულ ენაში II^5 კლასთან თემაზე: „რა არის კარგი და რა არის ცუდი“.

ლალი ლაფიერაშვილმა (II^4 კლასი) მოსწავლეები წაიყვანა ცირკში. მოაწყო ლიტერატურული დილა თემაზე – „ოქროსფერი შემოდგომა“.

ირინე რობაქიძემ (II^5 კლასი) მოაწყო გამოფენა „შემოდგომის ფერები“. ექსკურსია – „ზოოპარკში“.

ივეტა ბაქრაძემ (II^6 კლასი) – გაცვლითი გაკვეთილი II^6 კლასთან – მათემატიკაში.

ხათუნა ოდელაძემ (III^1 კლასი) – ნახატების გამოფენა – „ზაფხულის ერთი დღე“. გაცვლითი გაკვეთილი მათემატიკაში III^6 კლასთან (ლელა ტურაშვილი), თემაზე – „სივრცითი ფიგურები“.

ნატო კერესელიძემ (III^2 კლასი) – ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართული ისტორია) „მინდა მეტი ვიცოდე“ (დ. აღმაშენებლის მეფობის ხანა) ისტორია – მასწ. **ი. მარტიაშვილი,** ქართული – **ნ. კერესელიძე**.

დალი ილურიძემ (III^3 კლასი) ჩაატარა გაცვლითი გაკვეთილი, ქართულში III^2 კლასთან (ნ. კერესელიძე), თემაზე: „ჯერ – მტერი, მერე – მოკეთე“, ნორჩი მხატვრის **კესო ჭელიძის** ნამუშევრების გამოფენა.

ნანა ლეკიშვილმა (III^4 კლასი) – მოაწყო ნამუშევრების პრეზენტაცია „ზაფხულის შთაბეჭდილებები“.

ლელა ტურაშვილი-შავლიაშვილი (III^6 კლასი) – ლიტერატურული დილა – „ოქროსფერი შემოდგომა“.

ქეთევან ნარსიამ (IV^1 კლასი) წარმოადგინა პროექტი – „ზაფხულის არდადეგები“. „ი. ჭავჭავაძე“, „აკაკის საქართველო“, „მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი“, „არ ბერდება ჩემი თბილისი“.

მიიღეს მონაწილეობა მათემატიკის ოლიმპიადაში: **გიგი ვეფხვაძემ**, **ბაქარ ჯელაძემ**, **ანამარია ქავთარაძემ**, **ალექსანდრე ბერიძემ**, ქართულის ოლიმპიადაში: **გიგი ვეფხვაძემ**, **მაია ბარბაქაძემ**, **ბექა ხითარიშვილმა**. ინგლისურის ოლიმპიადაში – **არჩილ ჯაფარიძემ**.

ნათია ალადაშვილმა (IV^3 კლასი) განახორციელა პროექტი, „საქართველო და მისი კუთხეები“. მოაწყო გამოფენა – „ოქროსფერი შემოდგომა“.

შორენა ხვედელიძემ (IV^5 კლასი) წარმოადგინა პროექტი – გაკვეთილი – „სვეტიცხოვლობა“.

ნინო ღუბიანურმა (IV^6 კლასი) მოაწყო ექსკურსია – „ხელოვნების“ მუზეუმი და ჩაატარა გაკვეთილი, „ლეგენდა თბილისზე“.

ასე მრავალფეროვანი და ნაყოფიერია დაწყებითების კათედრის მუშაობა.

ლალი ლაფერაშვილი,
კათედრის ხელმძღვანელი

„მისი ფოთოლიც შრიალებს...“

მარინა თურქაძე – გავა დრო და ეს გვარი და სახელი უთუოდ დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს საქართველოს სკოლამდელი აღზრდის სფეროს ცნობილ ამაგდარ პედაგოგთა შორის.

ორი ათეული წელი მარტო თბილისის 63-ე საბავშვო ბაგა-ბაღში მოღვაწე აღმზრდელ-პედაგოგს, უსაზღვრო, ულევი, ორიგინალური, შემოქმედებითი ფანტაზიის, ენერგიისა და შემართების ქალბატონს, თავად სამი შვილის – ნინო, გაგი და ირაკლი თურქაძეების დედას, აწ უკვე ხუთი შვილიშვილის – **ანა და ცოტნე ხოჯავების, კესარია, ალექსანდრე და საბა თურქაძეების** ბებიას, მუდამ გამგები, სანიმუშო თანამდგომის, **რამაზ თურქაძის** მეუღლეს, კარგა ხანია, იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი, რომელსაც დროდადრო მოვუთხრობდით მის თავდაუზოგავ, ლამაზ საქმიანობაზე.

მის კალთაში დაფრთიანებულ და აწ უკვე სკოლისაკენ გაფრენილ უამრავ გოგო-ბიჭს აყოლებს თავის მადლს მათ აღზრდაზე გადაგებული სახელოვანი პედაგოგი.

ჯერ კიდევ 1984 წლიდან მოყოლებული, თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, დედაქალაქის საშენ მასალათა კომბინატის 41-ე საბავშვო ბაგა-ბაღის, მერე კი მე-6 ქართული გიმნაზიის მასწავლებელს, არასოდეს მოკლებია აღსაზრდელებისა და მათი მშობლების, მისი აღზრდილი გოგო-ბიჭების სითბო და სიყვარული, მადლიერების გრძნობა. სულით, მოწოდებით პედაგოგი მუდამ ზრუნავდა თავის აღსაზრდელებზე, მუდამ იყო ცეროდენების თანატოლი, მათთან ერთად მსახიობობდა ბაგა-ბაღის „სცენაზე“ მის მიერ შექმნილი ზღაპრების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში, მონაწილეობდა სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებაში, რომელთაც უსაზღვრო ოვაციებით ხვდებოდნენ მნახველები.

საოცარი სანახავი იყო, როცა დათუნიასა თუ თოვლის პაპას ქურქში გახვეული ნაძვის ხის გარშემო გოგო-ბიჭებთან ერთად ცეკვავდა, მათთან ერთად „გუნდაობდა“, „თოვლში გორაობდა“. თვითონ მრავალმხრივ განათლებული მასწავლებელი თავის აღსაზრდელებს ცეკვა-სიმღერასთან, მხატვრულ მეტყველებასთან, ძარღვიან დედა-ქართულთან ერთად, ინგლისურსაც ასწავლიდა. ცეროდენებისათვის მისი ხელით შეკერილი საზეიმო კოსტიუმები ლამაზ სანახაობებს ამშვენებდა. მუდამ ორიგინალურობით, დახვეწილი, ნატიფი გემოვნებით გამოირჩეოდა მისი ხელით საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული გარემო...

ჩვენი გაზეთის 2004 წლის 17 მარტის ნომრის ფურცლებზე **მარინა თურქაძისადმი** მიძღვნილ ნარკვევში „როცა სიცოცხლის ლამაზ ლექსებად და სიმღერებად ქცევა შეგიძლია“, იმასაც აღვნიშნავდით, რომ ეს მშვენიერი, მართლაც, საოცრებებით გამორჩეული მშვენიერი ქალბატონი, ყველაფერთან ერთად კიდევ ერთი განუსაზღვრელი, აუწონავი, შესაშური, შუფასეველი სიმდიდრის პატრონი გახლდათ. იყო დიდი ქართველი მამულიშვილების ღირსეული შთამომავალი:

მარინა თურქაძის დიდი პაპა (დედის მხრიდან) გახლდათ **ნიკოლოზ ავალიშვილი** – ცნობილი თეატრალური მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი, ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ“ – ის, სერვანტესის „დონ კიხოტისა“ და სხვ. ნაწარმოებების ქართულ ენაზე მთარგმნელი. ნიკოლოზის უფროსი ვაჟიშვილი – არჩილ ავალიშვილი – მარინას პაპის ძმა, დიდი ილია ჭავჭავაძის ნათლული იყო, ერთობ, განათლებული პიროვნება, შესანიშნავად იცოდა ფრანგული...

დიდი მხატვარი **ლადო გუდიაშვილი მარინას** დედის – **ეთერ ავალიშვილის** ბიძა გახლდათ, მხატვარი-მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი კი – დედის ბიძაშვილი. **მარინას** დეიდაშვილი, **ვასილ აბაშიძე – ტასო აბაშიძის** შვილიშვილი, ცნობილი ბალერონი.

დედის მამიდამ – მარინას პაპიდამ, ელენე (ელო) ავალიშვილმა, პოლიგლოტმა შვიდი ენა იცოდა და ოთხმოცი წლის ასაკშიც არც ერთი არ დავიწყებოდა.

მარინას პაპას, ირაკლი ავალიშვილს, ცნობილ ქირურგს, ქვეყანა იცნობდა.

პაპიდაშვილი – **ნანა გუგუნავა** ცნობილი გეოგრაფი იყო, ამასთანავე, შესანიშნავად ქსოვდა. მარინა თურქაძეს გენებში ეს ნიჭიც გამოჰყვა. მას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წლების განმავლობაში მიჰყავდა ქსოვისა დ ხელგარჯილობის საგაზეთო გაკვეთილები, რომელთაც მის მიერ შექმნილ შესანიშნავ ილუსტრაციებს ურთავდა.

ნანა გუგუნავას და – **ლია გუგუნავა** კი ცნობილი შექსპიროლოგი, მთარგმნელი და თეატრმცოდნეა.

ნანა ავალიშვილი – ცნობილი პიანისტი **მარინა თურქაძის** დეიდაა.

საკმაოდ ვრცელია **მარინა თურქაძის** ოჯახური გარემოცვის, ახლო სანათესაოს ცნობილი ადამიანების წრე... ცხადია, მათ ზნეკეთილი გავლენა იქონიეს მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

მარინა თურქაძეს ჩინებულად „მოუდის ქართული“, გრძნობს თითოეულ სიტყვას, ერთობ, გაშინაურებული ჰყავს მუზა, მრავალი ლამაზი მოთხრობის, ჩანახატის, პოეტური სტრიქონების ავტორია...

წერილი „სახლი მლეთის ქუჩაზე“ და ლექსი „არ დარჩა ქვეყნის ვალი“ მისი სახელოვანი წინაპრის, **ნიკოლოზ ავალიშვილის** წიგნის „თავგადასავალი და განცდილი“ განახლებულმა გამოცემამ დაბადა....

მარინა თურქაძეს მოსაგონარი ულევი აქვს, სათქმელი კი – ბევრი.

ვფიქრობთ,: ქართველ მამულიშვილთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი ინტერესი მუდამ ექნება ჩვენს მომავალ თაობას. ამიტომ გვჯერა: **მარინა თურქაძის** მოქალაქეობრივი პოზიციისა და შემართების ადამიანი უთუოდ გააცნობს მომავალ თაობებს საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს და მათ მისთვის ჩვეული გემოვნებით წიგნის სახით შეკრავს ორიგინალურ თაიგულად და მათ მომავალი თაობას სამახსოვროდ გადასცემს.

ნათელა ქიმერიძე

მარინა თურქაძე

სახლი მლეთის ქუჩაზე

დრო გადის, მიექანება. დასანანია, რომ დროსთან ერთად საყვარელ ადამიანებს კარგავ, მათი ხმა თანდათან გავიწყდება და თუ სურათმა სახე არ შემოგინახა, მეხსიერებაში თანდათანობით ისიც ქრება.

მონატრებას, სიყვარულს როგორ უშველი?!

ძლიერ, ტკივილამდე მიყვარს და მენატრება სახლი მლეთის ქუჩაზე, სადაც ჩემი პაპიდები ცხოვრობდნენ. დედასთან ერთად, მე და ჩემი ძმა, მალხაზი, მუდამ სიხარულით ავუყვებოდით მათი სახლისკენ ამავალ გზას.

ძალიან უყვარდა დედას მამიდები. ეს სითბო და პატივისცემა მეც მეღვრებოდა პატარა გულში. მლეთის ქუჩის მხარეს ფანჯარა თუ ღია იყო, თავს შევყოფდი, მხიარულად დავიყვირებდი: „პა-პი-დე-ბო! და სადარბაზოში პირველი შევრბოდი.

ჰორიზონტალური გრძელსახელურიანი კარები ყოველთვის ღია იყო. მარცხნივ მედიდური კიბეები თითქოს გეპატიჟებოდნენ, ამობრძანდითო.

აბა, მეტიჩარას, სად მეცალა: ჩავირბენდი ორ-სამ საფეხურს, ჭადრაკისებურ შავ-თეთრ ფილებს ასკინკილით გადავახტებოდი, იქვე, მარჯვნივ კარებზე ოქროსფერ „ჯადოსნურ“ სახელურს ჩამოვწევდი და ოთახში შევირბენდი. მარჯვნივ სკივრი იდგა – ბოქლომდადებული, ვიწრო ხალიჩა გადაფარებული. წამოვსკუპდებოდი ზედ და ვითომ ძალიან დაღლილი ვყოფილიყავი, მძიმედ ვიტყოდი – „გამარჯობა!“

ნინო (ნუციკო) პაპიდა, თუ სხვა საქმით არ იყო დაკავებული, თითქმის ყოველთვის ბუფეტის წინ, მაგიდასთან იჯდა და ქაღალდს (ბანქოს) შლიდა.

– ჩემი გოგო, – მეტყოდა დინჯად და გამიღიმებდა.

რუსუდანი მეორე ოთახიდან გამოვიდოდა, შემხედავდა, დედას მიესალმებოდა და უკან შებრუნდებოდა. მე უდარდელად წამოსკუპებული ვიყავი სკივრზე, ფეხებით იატაკს ვერ ვწვდებოდი, სკივრს ფერდებზე ვუკაკუნებდი, თან მარჯვნივ, კედელთან წიგნების კარადას მივჩერებოდი. მომწონდა თაროებზე ლამაზად ჩალაგებული წიგნების ყდები, სქელი, ოქროსფერვარაყიანი. კითხვა არ ვიცოდი და წიგნი ყდით მიტაცებდა. როცა წამოვიზარდე, ამ წიგნებმა სხვა სამყარო დამანახა. აქ მრავლად იყო ჩემი დიდი პაპის, ნიკო ავალიშვილის თარგმნილი წიგნები.

ნიკო ავალიშვილი (1844-1929 წწ.) მეტად მრავალმხრივი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იყო, თერგდალეულთა წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი. იგი მიეკუთვნება იმ რჩეულ მამულიშვილთა რიცხვს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს ახალ ისტორიაში.

ნიკო ავალიშვილი დაიბადა 1844 წლის 4 ივლისს, გარე კახეთის სოფელ საგარეჯოში



აზნაურ (წარმომავლობით თავად) იაკობ ავალიშვილის ოჯახში. მამა მღვდელი იყო, მწიგნობარი და კალიგრაფი. ბრწყინვალედ გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“, „დიდმოურავიანი“, „ყარამანიანი“ და სხვა. 1849 წელს იგი მალარიით გარდაიცვალა.

ნიკო 8 წლის ასაკში მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, პირდაპირ II კლასში მიიღეს, ვინაიდან რუსულ ენას კარგად ფლობდა. მან წარმატებით დაძლია სასწავლო პროგრამა და სასწავლებელი ვადაზე ადრე დაამთავრა. მერე, ასევე, წარმატებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარიაც, 1862 წელს კი სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს გაემგზავრა და უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ოთხი წლის განმავლობაში იღრმავებდა ცოდნას.

მოსკოვში რვა თვის განმავლობაში ერთი ფრანგის ოჯახში ცხოვრობდა, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული წერა-კითხვა. ის დიდ დროს უთმობდა ევროპული ლიტერატურის კითხვას და მათ ქართულ ენაზე თარგმნას.

ჩემი დიდი პაპა რუსეთში ყოფნისას დაუმეგობრდა თერგდალეულებს, განსაკუთრებული თბილი ურთუიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან. ნიკომ გადაწყვიტა მოსკოვში დაეფუძნებინა სტამბა, სადაც ქართული წიგნები დაიბეჭდებოდა, ამასთან ერთად, სტამბაში დასაქმდებოდნენ ქართველი სტუდენტები, რომლებიც ამით საარსებო სახსარსაც მოიპოვებდნენ. ამ მამულიშვილურ წამოწყებას აკაკიმ სიხარულით დაუჭირა მხარი, თუმცა, მისი განხორციელება ვერ მოხერხდა.

1866 წელს ნიკო იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო, სადაც მაშინვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“ (1869-1872 წწ), თანამშრომლობდა ჟურნალ „დროებაში“. მისი თხზულებები იბეჭდებოდა „მნათობში“, „ცისკარსა“ და „ივერიაში“. ამასთანავე, მესვეურობდა განახლებულ ქართულ თეატრს, რომლის აღორძინებაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა. იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ქართული დრამატურული საზოგადოებისა, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა. დიდ ილიას იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკო ავალიშვილთან, რომ მას უფროსი შვილი, არჩილი მოუნათლა.

ნიკო ავალიშვილი მუდამ მნიშვნელოვან დროს უთმობდა მშობლიური კუთხის, გარე კახეთის აღორძინებას. მან დიდი წვლილი შეიტანა თბილისიდან სიღნაღისკენ მიმავალი გზის შეკეთებაში. 1877 წელს საგარეჯოში გაიხსნა კოოპერატივი „ივრის დამზოგველი ამხანაგობა“, რომლის კომიტეტსაც თავადვე თავმჯდომარეობდა. გამოიგონა ხორბლის სალეწი მანქანა-კევრი და ახალი ნიმუშის კალო, რასაც იმდროინდელ ქართულ პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

ნიკომ სამხედრო სამსახური 1872 წელს დაიწყო. ოთხი ათეული წლის განმავლობაში იყო კავკასიის საოლქო საინტენდანტო სამმართველოს ჩინოვნიკი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში, ასევე, სზოგერთ საზღვარგარეთის ქვეყანაში. როგორც ამ სფეროს ერთ-ერთი ავტორიტეტული ხელმძღვანელი, დაჯილდოვებული იყო წმინდა ვლადიმირის IV, წმინდა სტანისლავის II და III, წმინდა ანას III (ხმლებითურთ) ორდენებითა და მრავალი მედლით.

1912 წელს **ნიკო ავალიშვილმა** ახალდაარსებულ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას იშვიათი წიგნები და პერიოდული გამოცემები შესწირა, ასევე, გადასცა ძვირფასი ნივთები, მათ შორის, 130 ცალი ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტა, რომლებიც სპარსეთიდან და ჩინეთიდან ჰქონდა ჩამოტანილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მეტად ნაყოფიერი მთარგნელობითი საქმიანობა. სწორედ მან გააცნო ქართველ მკითხველს საავედრა მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი“, პიერ ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ფრიდრიხ შილერის „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“, ვილჰელმ ტელის „ყაჩაღები“ და „მგზავრი“, ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ“. მანვე თარგმნა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის დრამა „ღალატი“ და მსოფლიო ლიტერატურის სხვა შედევრები.

ნიკო ავალიშვილი ორჯერ დაქორწინდა. პირველ მეუღლესთან – შეეძინა ექვსი შვილი: არჩილი, თამარი, ირაკლი, ქეთევანი, ნინო (ნუცა) და რუსუდანი, ხოლო მეორე მეუღლესთან – ორი: გიორგი და ელენე.

ღვაწლმოსილი ქართველი მოღვაწე 1929 წლის 17 სექტემბერს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

იოსებ გრიშაშვილი პრესაში მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ნეკროლოგში წერდა: „ძველი საზოგადო მოღვაწე, ნიკო იაკობის ძე ავალიშვილი... 65 წელიწადი განუწყვეტლივ მოღვაწეობდა საზოგადო ასპარეზზე. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან და ახალგაზრდული ენთუზიაზმით კვლავ წერდა... 14 წლის განმავლობაში (1867-1880 წწ.) ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს და გიორგი ერისთავისა და გიორგი კერესელიძის შემდეგ ითვლება თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად და პირველ რეჟისორად“.

მე ნიკო ავალიშვილის ნეპოტი ვარ. მისი შვილის, ირაკლის, შვილიშვილი და ბედნიერი ვარ, რომ მისი საამაყო გენეოლოგიის ხეზე ჩემი პატარა ფოთოლიც შრიალებს. მადლობა მლეთის ქუჩაზე მდებარე სახლს. სწორედ მან გამიღვიძა ეს მოგონებანი და უჩვეულოდ გამათბო წინაპართა სითბოთი.

გაგრძელება იხ. მე-8 გვ.

მეშვიდე გვერდიდან

სიზმარში ისევ მლეთის ქუჩაზე ვარ, სკივრზე წამოსკუპებული, ოღონდ უკვე 62 წლის თეთრთმიანი ქალი. ჩემს წინ მაგიდას გარშემო პაპიდები უსხედან. მაგიდას ზემოდან შუქი ანათებს. ისინი დინჯად, აუღელვებლად თამაშობენ ლოტოს. მკაფიოდ მესმის ტომარაში კოჭების გაჩხაკუნების ხმა, მერე – პაპიდების წამოძახილი – 10, 15 და ა.შ.

ო, როგორ მინდა, რიცხვზე დასადებად ლობიოს მარცვალი მივაწოდო ისე როგორც ბავშვობისას ვაკეთებდი, მაგრამ შუქი ქრება და ისინიც ქრებიან.

ვდგები საშინლად სევდამორეული, ფეხისა-თრევით გამოვდივარ და ვხურავ კარს.

მლეთის ქუჩის სახლში ისევ ზეობს სითბო და სტუმართმოყვარეობა...

ჩამოსწიე ურდული და ასწლიანი სახლის მასპინძლები – პაპიდების მონაგარნი, – ასე შეგეგებებიან:

„გამარჯობა! კეთილი იყოს შენი მობრძანება!“

***P.S.** გასული წლის მიწურულს გაიმართა ნიკოლოზ ავალიშვილის წიგნის „თავგადასავალი და განცდანი“ (გამომცემლობა „ნეკერი“) პრეზენტაცია თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, რომლის ხელმძღვანელობას მადლობას ვუხდით ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციისათვის საჭირო მასალების მოწოდებისათვის. ამასთანავე, ვიმედოვნებთ, რომ ეს მეტად საინტერესო წიგნი მალე გახდება ხელმისაწვდომი ფართო ქართველი საზოგადოებისთვის.*

არ დარჩა ქვეყნის ვალი...

ვუძღვნი ჩემს დიდ პაპას – ნიკოლოზ ავალიშვილს!

ო, როგორ მინდა, ვიყო
ისევ პატარა ბავშვი,
ხელჩაკიდებით დედას
მივყავდე იმ ძველ სახლში.
ო, როგორ მინდა, ისევ
მესმოდეს ტკბილი ხმები:
– როგორ ხარ, შვილო, მოხველ?
პაპიდა გენაცვლები.
ამ სახლში პაპა ნიკო,
თურმე, თაგმნიდა წიგნებს,
ეს კედლები კი ჩუმად,
ო, რამდენ სტუმარს იტევს!..
რატომ არ ვიყავ მაშინ
დაბადებული ქვეყნად?!
ან ვყოფილიყავ ჩიტი,
ან მივსულიყავ ბედად...
ღამის პეპელა, თუნდაც,
მინდვრის ბალახი ნაზი,
ქარი, ნიავი, წვიმა,
პაპას კალმების ხაზი.
პაპა, მგონია, მარიგებს
და მეფერება მშვიდი.
გახსოვდე, არ დამივიწყო,
ჩემი ხარ – შვილთა შვილი!
გახსოვდეს, მიდის, ბრუნავს,
დრო გადის დაუნდობელი,
ნება მომეცი, მოგითხრო
რა არის წუთისოფელი.
თუ მიაღწიე მწვერვალს,
ენდე შენ გულის ძგერას,
ძლიერი იყავი მუდამ,
სუსტები უყვარს ძერას.
ვფიქრდები, ვხვდები, ვიცი,
გავიდა დრო და ხანი...
წავიდა დიდი პაპა
არ დარჩა ქვეყნის ვალი....

მარინა თურქაძე

ნაძვნარით დაბურულ გორაკზე კოხტად წამოსკუპებულა ცეროდენების ზღაპრული სახლი, ეს 66-ე ბაგა-ბაღი გახლავთ, რომელსაც „გორა-ბაღს“ ეძახიან. „შერატონ-მეტეხი პალასი“ მას თავზე დარაჯად დასდგომია. აღმართზე ცეროდენები და მათი მშობლები დამემგზავრნენ. თურმე ჯგუფებს ბრწყინვალედ ჩაუტარებიათ საახალწლო ნაძვისხის ზეიმები და მხოლოდ იმაზე წუხდნენ, რომ თოვლმა ვერ დაამშვენა მათი ხალისიანი ცეკვა-თამაში.

– გიყვართ, ბავშვებო, „გორა-ბაღი?“

– ძალიან, ძალიან გვიყვარს! – წამოიძახეს ერთხმად.

ზუსტად სამი წლის წინათ ვიყავი აქ. როგორ დამშვენებულა და გაზრდილა?! ვაკვირდები მის იერ-სახეს. გარეთ და შიგნით იმხელა ესთეტიკაა, მყის აკაკის სიტყვები გამახსენდა: „ეს თვალები რას ნახავენ, სხვა უკეთეს სანახავსა!“ ისე სანიმუშოდ არის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული, მისი აღწერით მკითხველს თავს არ შევაწყენ, ოღონდ ქება უნდა ვუძღვნა ყოველივე ამის შემოქმედთ.

ამისი შემოქმედნი კი არიან გულღია მასპინძლები, რომლებიც ძველი ნაცნობებივით შემომეხვივნენ.

დიდ დიასახლისს, ცეროდენების საყვარელ დირექტორს **ეკა აღნიაშვილს** ლამაზი ბიოგრაფია ამშვენებს. 89-ე სკოლისა და ტექნიკური უნივერსიტეტის აღზრდილს ხელოვნება ბავშვობიდანვე იტაცებდა, ამიტომაც ბრწყინვალე მოცეკვავე გამოვიდა. ანსამბლ „სალხინოსა“ და „გორდას“ სოლისტი II საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გახდა, შემდეგ „გორა-ბაღში“ ცეკვის მასწავლებლად მოვიდა და აგერ უკვე მე-8 წელია, დირექტორი გახლავთ.

ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ ძალიან უყვართ ბავშვებს, მათ მშობლებს და განსაკუთრებით – თანამშრომლებს. ამიტომაც ერთგულად უდგანან მხარში და ბაგა-ბაღის გაბრწყინებისთვის დღემუდამ ზრუნავენ.

გავესაუბრეთ ყოველ მათგანს. პირველ რიგში მინდა დავულოცო მარჯვენა და მადლობა ვუთხრა ნორჩთ გზამკვლევ აღმზრდელ პედაგოგებს: **თამარ ნოშრევანიშვილს**, **ნინო მწარიაშვილს**, **მარინე დორეულს**, **შორენა ალექსაიას**, **ლია ალადაშვილს**, **ნათია კუხალაშვილს**, **ცირა მათიაშვილს**, **ეკა თორაძეს**, **ანა გასპარიანს**, აღმზრდელის თანაშემწეებს: **ეკა მახარაშვილს**, **ასია ბაიანდუროვას**, **მარინე ბეჟიაშვილს**, **ეკა თუშიშვილს**, **ხათუნა ალავერდაშვილს**, **იამზე კვინიკაძეს**, **ნინო გიორგაძეს**, **თამარ გოგიძეს**, **სალომე ტრაპაიძეს**, **თამარ ლომიძეს**, **ელა პანიევას**, დირექტორმა მაღალი შეფასება მისცა მათ შრომით შემართებას.

„გორა-ბაღის“ კეთილდღეობაში დიდია დირექტორის მოადგილის **ეთერ აბაშიძის** როლი.

შარშან ას სასკოლოდ კარგად მომზადებულ ცეროდენას პირველ კლასში ზეიმით გზა

თქვენ გაიხარეთ, ცეროდენებო!

„ძალიან, ძალიან გვიყვარს „გორა-ბაღი!“

დაულოცეს აღმზრდელებმა და მათმა თანაშემწეებმა: **ირმა ხუციშვილმა**, **თეა ცხადაძემ**, **ფიქრია კაპანაძემ** და **მაკა სოფრომაძემ**. ბავშვთა საზეიმო კონცერტის ორგანიზატორ-სულისჩამდგმელები აღმზრდელებთან ერთად იყვნენ მუსიკის მაღალკვალიფიციური მასწავლებელი **მარგარიტა ბარხუდარიანი** და ცეკვის ჩინებული პედაგოგი **მაია პანიევი**.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფსიქოლოგ **ემა გეგელაშვილის** მონდომებული საინტერესო მუშაობა. როგორ არ უნდა ვუთხრათ მადლობა ექთან **თამარ ქურიძეს**, როცა ამდენს ზრუნავს რაიმე ინფექცია არ შემოიპაროს და პატარები ჯანმრთელები იყონ.

ყველას და განსაკუთრებით ცუგრუმელა გოგო-ბიჭებს ძალიან უყვართ გამოცდილი მზარეული **ნელი მოდებაძე**, ასევე – მისი დამხმარეები **ლეილა ჯანიაშვილი** და **ნანული კურატაშვილი**. ამათგან მომზადებული ყუათიან-არომატული კერძები შინ დედისგან გაკეთებულს ურჩევნიათ ცეროდენებს.

დირექტორი რომ დიდად აფასებს ყოველი თანამშრომლის შრომას, იქიდანაც ჩანს, რომ არც ერთი მუშაკის ღვაწლი უყურადღებოდ არ დარჩენია. მადლობითა და ქებით მოიხსენია **ეკა აღნიაშვილმა**: მებაღე **ვახტანგ მაზმანოვი**, დარაჯები: **ელგუჯა ბედიაშვილი** და **რაფაელ მაზმანოვი**, შაბათ-კვირეული მუშები: **ნიკოლოზ გოგობერიშვილი**, **ალბერტ კანანოვი**, **ილია ჩიტიშვილი**, თეთრეულის მრეცხავი **მარინე დავითაშვილი**, ჭურჭლის მრეცხავები: **მალინა რამიშვილი**, **ციური ჯამალაშვილი**, **თამარ ჯამალაშვილი**, დამლაგებლები: **ნანული მამაცაშვილი** და **ლალი ურგებაძე**.

როცა ასეთი შეხმატკბილებული შრომაა კოლექტივში, იქ გამარჯვება გარანტირებულია.

„გორა-ბაღს“ ამ ახალ წელს ნიჭიერი დირექტორის **ეკა აღნიაშვილის** ხელმძღვანელობით ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ.

მაია მიშველაძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

რედაქტორი
ნათელა ქიმერიძე

სახალხო განათლება+
№1 (4505)
28 იანვარი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113